# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 8 (4547) ● 12 აპრილი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


# გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას!

თბილისის 140-ე საჯარო სკოლაში

## იყო და არის ზეიმი გაზაფხულისა



**პოეტის** სიტყვებით მინდა დავიწყო, რომელიც ეძღვნება სათნოებით გამორჩეულს, უმშვენიერეს ადამიანს, 140-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ამავე საგნის კათედრის თავმჯდომარეს და უფროს მასწავლებელს – **მზია ბურდულს**.

მასზე ითქმის: **„დედაც ვარ, ბებიაც და მასწავლებელიც, სამშობლოს ვალი სამმაგად მაძევს**“.

ეს სამმაგი მოვალეობა მსუბუქად და სიამაყით დააქვს ნაზი მხრებით ქალბატონ მზიას, რომელიც არის ერთი საამაყო ვაჟკაცისა და ორი კდემამოსილი ქალიშვილის დედა, სამი უმშვენიერესი ასულის ბებია, მრავალი მოსწავლე-ახალგაზრდის მასწავლებელი და დამრიგებელი.

როდესაც მოუსვენარ ბავშვებზე ჩამოვარდება საუბარი, იგი ფრანგი მწერლის **ჟან-ჟაკ რუსოს** სიტყვებს მოიხმობს: **„თუ ბავშვში ცელქები ჩაკალით, ბრძენს ვერასოდეს აღზრდით**“.



სანიმუშონი არიან მისი მოსწავლეები, სკოლაში გამორჩეულია VII$^{2}$კლასი. მათ სწორ სულიერ ფორმირებაზე სამი წელია გატაცებით ზრუნავს საყვარელი დამრიგებელი. ეს მოსწავლეები კი ყოველ წელს შთამბეჭდავი გაკვეთილებით და შინაარსიანი ლიტერატურული ღონისძიებებით გვახარებენ.

წელსაც „მეკვლეობა“ იტვირთეს, მზიას თვალხატულა გოგო-ბიჭებმა, პირველებმა შეაბიჯეს სკოლის ახლად გარემონტებულ სააქტო დარბაზში და დაუვიწყარი ლიტერატურული ღონისძიება მიუძღვნეს გაზაფხულის მეჯლისს.

*„გაზაფხული შემოსულა, ლენ..*
*რია – რია აუტეხავთ ჩიტებს...“*

ამ მშვენიერი სიმღერით დაიწყო ღონისძიება. საღამო გახსნეს **საბა ჯომიდავამ** და **ანი ოთინაშვილმა**, მათმა არტისტიზმმა თავიდანვე მოხიბლა დამსწრე საზოგადოება.



ანიმ გაზაფხულის შემოსვლა გვამცნო:

„დედა – გაზაფხული მობრძანდება ჩვენს მიწაზე, მოდის ლამაზად, როგორც მედეას კდემამოსილება, ნინოს წმინდანება, თამარის სიბრძნე და სიქველე. ქეთევანის სიდიადე და უკვდავება, მაიას მგზნებარება და თავგანწირვა. ილიას „ოთარაანთ ქვრივის“ დედაკაცობა, ნატო ვაჩნაძის სილამაზე“.

მოსწავლეები საოცარი ემოციით კითხულობდნენ ლექსებს და ჩანახატებს დედაზე, ქალზე, მათ ღვაწლსა და თავდადებაზე.

დიდი სითბოთი და სიყვარულით გამოირჩეოდა ვაჟების გამოსვლა: **სოსო ვარდოშვილი**, **ნიკა ფარქოსაძე**, **დათო გრატიაშვილი**, **საბა ფარსაღაშვილი**, **ბაჩი შუბითიძე**, **საბა ჯომიდავა**, **გუგა თათარიშვილი**, **სანდრო ოქრუაშვილი**, **თემო კუპრაძე**, **საბა აროშიძე**, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ უკეთ მოეფერებოდა დედას.

შთამბეჭდავი და ემოციური იყო გოგონების მიერ წარმოდგენილი კომპოზიცია – **„მომეფერე, დედა“**. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: **ანა ებიტაშვილი**, **თიკო დუნდუა**, **ანი ოთინაშვილი**, **ელენე დუდაევა**, **მარიამ ჯოხაძე**, **ელენე კოპლატაძე**, **ელენე ხუფაცარია**, **ნინო მაჩიტიძე**, **მარიამ ხელაძე**, **თეა შავლაძე**.



*„ისე, როგორც ბავშვობაში*
*მომეფერე, დედა,*
*ცხადში გხედავ, არ მყოფნის და სიზმრებშიაც გხედავ.*
*თავს კალთაში ჩაგიდებ და ისე დავისვენებ,*
*დაგიკოცნი მაგ დაღლილ და ნაჭადარ ხელებს*
*ღმერთო, არ მომაკლო დედა,*
*დედის სითბო,*
*გულში ისევ გეხუტები,*
*პატარა ვარ თითქოს“.*

მომხიბლავი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია **„დედაშვილობა“** – „დედაშვილობა უკეთილშობილესი ურთიერთობაა. რამდენიც დედაა, რამდენიც შვილია ქვეყნად მავალი, იმდენი სახეობა აქვს ამ მადლიან, სისხლხორცეულ ერთობას... დედაშვილობასთან ვერაფერი მოვა თავის სასოებითა და სისპეტაკით“.

დარბაზი ცრემლმორეული უსმენდა **ელენე დუდაევას** და **მარიამ ჯოხაძეს**. მათ წაიკითხეს ნაწყვეტი **„ოთარაანთ ქვრივიდან“**: „დედაშვილობაში შენ – ჩემობა რად არის? დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს?...“

ქალებისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ბავშვებს არც ბებიები დავიწყებიათ.

გულისამაჩუყებელი სიტყვებით მიმართა **გუგა თათარიშვილმა** თავის გამზრდელ ბებიას: „ბებია ძალიან მიყვარხარ, გმადლობ იმისთვის, რომ შენი სიცოცხლე საჩუქრად მომიძღვენი. გპირდები, მე მას თვალისჩინივით გავუფრთხილდები და ჩემს შვილებს გადავულოცავ, ვამაყობ, რომ ასეთი ბებია მყავს, შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ“.

დარბაზის დიდი სიმპათია დაიმსახურეს IX კლასელმა გოგონებმა: **ნინო აბაიშვილმა**, **ანა ედიბერიძემ**, **ნანიკო ზაქარაიამ**, რომელთაც ულამაზესი ჩანახატები მიუძღვნეს დედებს.

განსაკუთრებული სიყვარულით მოეფერნენ ბავშვები მასწავლებლებს, მოსწავლე-მასწავლებლის სანიმუშო ურთიერთობა ხომ დედაშვილობაა სწორედ.

აღსანიშნავია ისიც, რომ **გიორგი ჭანტურიძე** ყველა კომპოზიციას ვიდეო-კოლაჟით აფორმებდა, რამაც დარბაზის აღფრთოვანება გამოიწვია.

ღონისძიებას ალამაზებდნენ მოცეკვავე გოგონები: **ანა ებიტაშვილი**, **თიკო დუნდუა**, **ანი ოთინაშვილი**, **ელენე დუდაევა**.

**სანდრო ოქრუაშვილმა** და **თიკო დუნდუამ** შთამაგონებელი სიტყვებით დაასრულეს საღამო:

*„დედის თვალთა კეთილ ზღვაში*
*სარკესავით ხშირად ჩაიხედეთ,*
*სანამ დედა ცოცხალია,*
*მოეფერეთ დედებს,*
*თორემ მერე გვიანია, სდიოთ ცაში მათი სულის მტრედებს,*
*სანამ დედა ცოცხალია,*
*მოეფერეთ დედებს“.*

ასეთი დიდებული დედის დღე და გაზაფხული მარად დაუვიწყარი იქნება.

**ცია ბორცვაძე**

## 14 აპრილი დედაენის დღეა

### ლადო ასათიანი



### ქართული ენა

საქართველოს მთებში
გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის,
სადღეგრძელოს ენავ!
მთიმღერა დღემდის
უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების
ნაპრალებზე ხლტომა,
მყინვარების ღვთიურ
ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის
ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის
მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის
ფარზე დაჯახება!
უძველესმა ტომმა
დღემდის მთიმღერა,
მწიფე პურის ყანა
ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე
როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე
როგორ მოგზაურობს,
ან მთვარიან ღამით
ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ
სიყვარულის შიში,
როცა ღამისმთევლებს
ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა,
თვლემენ სასთუმალთან...
საქართველოს მთებში
გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და
ღმერთების ენავ!



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!



**202-ე ბაგა-ბაღი წარმატებულია დედაქალაქში**

# მზით და სიყვარულით გვათბობს „მზიანეთი“

**ყველას** კარგად გვესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდა და განათლება ბავშვთა განვითარებისათვის, რისთვისაც უმთავრესია შესაბამისი გარემოს შექმნა. ამ მხრივ, შესანიშნავი მდგომარეობაა 202-ე ბაგა-ბაღში, რადგან იდეალური გარემოა შექმნილი პატარების სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისთვის. აქ პედაგოგები გამოირჩევიან პატარებთან ინდივიდუალური მიდგომით და გულისხმიერებით. ბაღის მიღწევები კი, ბავშვებთან და პერსონალთან სწორი დამოკიდებულების შედეგია. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული, მათ ურთიერთპატივისცემა აკავშირებთ და ერთი დიდი ოჯახია, სადაც უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს.

**„მზიანეთი“** – ასე უწოდებენ 202-ე ბაგა-ბაღს და აქ, მართლაც, ყველაფერი მზესავით კაშკაშა და ნათელია. ეს ბაღი, შეიძლება ითქვას, უბნის მშვენებაა. იგი მეტრომშენის დასახლებაში, ტვიშის ქუჩაზე მდებარეობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეზოში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ ბაღში ყველაფერი წესრიგშია. პატარებისთვის დამონტაჟებულია სხვადასხვა სათამაშოები **„აიწონა-დაიწონა“**, **საქანელები** და სხვა... ეზო შემოღობილია და გამწვანებულია, რომელსაც ამშვენებს ყვავილები და წიწვოვანი, მარადმწვანე მცენარეები. შენობაში კი, დიდი სითბოსა და სიყვარულის სურნელი ტრიალებს, რაც ბაღის მთელი კოლექტივის დიდი დამსახურებაა. ამიტომაც არის, რომ პატარებს აქ ყოველთვის მიუხარიათ... საბავშვო ოთახები და დერეფნები მორთულ-მოკაზმულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, კედლებს ამშვენებს პატარების და აღმზრდელების ნამუშევრები, ნახატები, აპლიკაციები და გამოძერწილი ზღაპრის გმირები. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** გვერდში დგომით, შენობა გარემონტდა და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებით და ლიტერატურით.

ბაგა-ბაღს, 29 წელიწადია წარმატებით ხელმძღვანელობს შესანიშნავი მენეჯერი და არაჩვეულებრივი პიროვნება **ლალი ოთარაშვილი**. იგი სრულიად ახალგაზრდა, 24 წლისა იყო, როცა დირექტორად აირჩიეს და ამ ხნის მანძილზე, ვინ მოთვლის რამდენი კარგი საქმე გააკეთა. იშვიათად შემხვედრია ასეთი გემოვნებიანი და საოცრად დახვეწილი ქალბატონი, რომელიც მშვენივრად უძლვება სამსახურს, საოჯახო საქმეებს და ამავე დროს, სულ ფორმაშია.





– **ყველაფერი გულით ვაკეთოთ, გულის ხმას მოვუსმინოთ და სიკეთე ვთესოთ**, – ეს გახლავთ ქალბატონი ლალის ცხოვრების დევიზი, რომელსაც არასოდეს არ ღალატობს. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. არის უაღრესად კეთილშობილი, გულთბილი და პოზიტიური ადამიანი. ჰყავს შესანიშნავი ოჯახი, ორი შვილი და შვილიშვილი. ქალბატონი ლალი, ყველას ერთნაირად უნაწილებს სითბოს და არცერთ თანამშრომელს და პატარას არ ტოვებს უყურადღებოდ. მისთვის მთავარი ბავშვებია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თითოეულ პატარას ცხოვრება გაულამაზოს, კომფორტული გარემო შეუქმნას და ბაღში გატარებული წლები კარგად დაამახსოვრდეთ. თანამშრომლებიც საგულდაგულოდ შეარჩია, რადგან თვლის, რომ აღმზრდელი მოწოდებით პედაგოგი უნდა იყოს და კარგად ფლობდეს ბავშვის ფსიქოლოგიას, რამეთუ აღსაზრდელებთან სათუთი მოპყრობაა საჭირო.



**ლალი ოთარაშვილი**: სკოლამდელ ბავშვთან მუშაობა ძალიან სათუთი და სპეციფიურია. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდები თანამშრომლების შერჩევის პროცესს. კარგი კოლექტივი მყავს, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ყველანი ერთად მომავალ თაობას ვზრდით. მიყვარს ბავშვები და მთელი ცხოვრება ამ საქმეს ვემსახურები, შეიძლება ითქვას **„ძირძველი“** დირექტორი ვარ. მართალია ახალგაზრდა ასაკში დავინიშნე ხელმძღვანელად, მაგრამ ბაღში მუშაობის დიდი გამოცდილება მქონდა, ყველა საფეხური გავიარე. თავდაპირველად ვიყავი დამლაგებელი, შემდეგ აღმზრდელის თანაშემწე და მეთოდისტი. დირექტორად დავინიშნე კონკურსის წესით, ეს იყო **ზვიად გამსახურდიას** დროს... იმ პერიოდში მოგეხსენებათ, ეროვნული სულისკვეთება იყო და ახალგაზრდა, პერსპექტიულ კადრებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. შვიდ კანდიდატს შორის მე მომანიჭეს უპირატესობა. 202-ე ბაღი ადრე **„თბილგვირაბმშენს“** ეკუთვნოდა და შემდეგ, ფინანსური პრობლემების გამო განათლების განყოფილებას გადაეცა. ბევრი ცვლილებების განხორციელება იყო საჭირო, გადატვირთული იყო შტატები და რეორგანიზაციის ჩატარება აუცილებელი გახდა,

გაგრძელება მე-3 გვ.





მე-2 გვერდიდან

თუმცა, არცერთი გაშვებული თანამშრომელი უმუშევარი არ დარჩენილა. ჩემი ნაცნობების წყალობით, ყველა დავასაქმე. ჩემი მოსვლის დღიდან, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გაკეთდა, განსაკუთრებით – ბოლო პერიოდში, რაც ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსის **თემურ თორდინავას** დიდი დამსახურე-



ბაა. რამდენიმე წლის წინათ იყო უსიამოვნო მომენტიც წინა ხელისუფლების დროს, გიგი უგულავას ინიციატივით, რეორგანიზაცია განხორციელდა, იყო საშიშროება, რომ საყვარელ საქმიანობას ჩამოვშორებოდი... თუმცა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და წარმატებით გავიარე კონკურსი-ატესტაცია. მეცადინეობის პროცესში ერთად ვიყავით ჩართულები მე და ჩემი მეგობარი, 45-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **იზა კვანტიძე,** სწორედ, მისი დახმარებით უმაღლესი ქულები მოვიპოვე და



ამისთვის საჯაროდ ვუხდი მადლობას. ქალბატონმა იზამ და 65-ე ბაგა-ბაღის დირექტორმა **მაია გონგაძემ** ჩემი რჩევით მიიღეს გადაწყვეტილება ბაღის დირექტორები გამხდარიყვნენ და ვფიქრობ, შესანიშნავად უძღვებიან თავიანთ მოვალეობას. რაც შეეხება 202-ე ბაღს, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღმზრდელობითი პროცესი სათანადოდ წარიმართოს. აქ სულ 9 ჯგუფია და 400 პატარაა. **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა წარმატებით ხორციელდება და მიხარია, რომ ჩვენი აღზრდილე-



ბი, აქვე მდებარე ახალ გახსნილ 103-ე სკოლაში გააგრძელებენ სწავლას. გვყავს მაღალი დონის მეთოდისტი **ქეთევან ფერაძე**, რომელიც დიდი ხანია ჩვენთან მუშაობს და ვინ მოთვლის რამდენი თაობის აღმზრდელია. სასწავლო პროცესის წარმატება ქალბატონი ქეთევანის კოორდინირებული მუშაობის შედეგია და მის რეკომენდაციებს საგულდაგულოდ ასრულე-ბენ ლოგოპედი **ნინო ჩიჩუა** და ფსიქოლოგი **მაკა ბაქრაძე**, რომლებიც დიდი პროფესიონალები არიან და მათი შექებით არ დავიღლები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დირექტორის მოადგილის **ნინო ბერიძის** ღვაწლი, რომელიც ჩემი მარჯვენა ხელია და შესანიშნავად იცნობს ბაღის ცხოვრებას. ასევე, დასაფასებელია საქმის მწარმოებლის **ქეთევან გონგაძისდ**ა მისი დამხმარის **ნათია გუბელაძის,** ასევე, მნე **მაკა სანაიას** შრომაც. მაკას დედა ჩვენი ექთანი იყო და ამდენად, კარგად იცნობდა ჩვენს „სამზარეულოს“. მიმაჩნია, რომ ბავშვები ლამაზ გარემოში უნდა იზრდებოდნენ და ამისთვის თავს არ ვზოგავთ.

აქ დიდი ყურადღება ექცევა ცუგრუმელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სისტემატურად ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები და სეზონური ზეიმები. ბავშვები ემზადებიან **დედაენის** დღის ღონისძიებისთვის.

ბაღი აღჭურვილია სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტებით. აღსაზრდელებს კი, მუსიკალურ ხელოვნებას





აზიარებენ მუსიკის პედაგოგები: **ნატო შულაია** და **ეკატერინე ერქომაიშვილი**.

აღსაზრდელების ჯანმრთელობა საიმედო ხელშია, რადგან მათზე ზრუნავს **თამარ დალაქიშვილი**. იგი, უკვე 18 წელიწადია ბაღს ემსახურება და არაერთი შექება დაუმსახურებია. ბავშვებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული **ჯულიეტა მალაძე** და მისი დამხმარე **ნათია ოთარაშვილი**.

ბავშვებს ყურადღებას და დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ ჩინებული აღმზრდელები, ესენია: **ცისანა დაუთაშვილი, ჟუჟუნა ვარდოსანიძე, მარინე ორველაშვილი, მანანა ლებანიძე, ნინო გელდიაშვილი, სვეტლანა არუთინიანი, ნინო ნავროზაშვილი, ნანა რიჟამაძე, ნანა გელენიძე, ლილი ბაბლუანი, ნინი შალვაშვილი, ნინო ფარტენაძე, მარიამ თავდიდიშვილი, მადლენა ბოგვერაძე, თამუნა ნათობიძე-დარეგინა კაზაროვა.** მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ანაიდა ბალოიანცი, შუქია არღვლიანი, თამარ ლომიძე, მაია ნასყიდაშვილი, ლილი გრძელიძე, ლეილა სუხიაშვილი, რუსუდან გრძელიძე, თინა გიორგაშვილი** და **ნანა კოშაძე.**

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს ტექნიკური პერსონალის საქმიანობას, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ, ესენია: **ხათუნა სამადაშვილი, მზევინარ გვილია, ეთერ დვალიშვილი, ეკატერინე გოგილაშვილი, ლამარა დათუნაშვილი, თამარ მოსიძე, ცისანა კობეშავიძე, ქეთევან ჩინჩალაძე, რუსუდან ჯიმშელაძე, ნელი ლიპარტელიანი** დალაშა **ჯანიკაშვილი.**

202-ე ბაგა-ბაღის კოლექტივის და აღმზრდელების საქმიანობით გახარებული არიან მშობლები და მთლიანად უბანი, რადგან იგი, სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

სასიხარულოა, რომ პატარებსაც და მშობლებსაც ბაღის მთელი კოლექტივი უყვართ, მათ აქ ხალისით მოუხარიათ. ამიტომაც, ბაღის პოპულარობაც იზრდება. იზრდება კი არა, უკვე გაზრდილია. დედაქალაქში პოპულარულია 202-ე ბაგა-ბაღი.

P.S. 202-ე ბაღის აღსაზრდელებმა და თანამშრობლებმა მონაწილეობა მიიღეს 8 აპრილს, ბოშათა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც გამოფენილი იყო ბავშვთა ნამუშევრები. ამ თემაზე ვრცელ მასალას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**მზია გოგოძე**



**იუბილარები: 45-ე ბაგა-ბაღი და მისი დირექტორი 50 — 10**

# პოპულარობიდან წარმოჩენილი პრობლემა დიდი მოთხოვნადობაა



**კარგი** იქნება, **იზა კვანტიძის** გამოცდილება დავაქსეროქსოთ და ყველა სკოლაში დავარიგოთ, – ხუმრობენ მისი კოლეგები.

ასეთ „ხუმრობა-დაფასებას“ ქალბატონი იზა განათლების სისტემაში თავდადებული შემოქმედებითი მოღვაწეობით ნამდვილად იმსახურებს.

1993 წელს დაამთავრა თსუ კიბერნეტიკისა და გამოთვლითი მათემატიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ისნის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგედ. ხელმძღვანელობდა საყმაწვილო კლუბ **„აღმაშენებელსა“** და უფროსკლასელთა **„დებატკლუბს“**. იყო ისნის რაიონის ახალგაზრდა მასწავლებელთა გაერთიანების თავმჯდომარე და თბილისის განათლების სამმართველოს კოლეგიის წევრი.

1997 წლიდან გრიგოლ კობახიძის სახელობის გიმნაზიაშია დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. 2007 წლიდან კი – 45-ე ბაგა-ბაღის დირექტორი. თუმცა, ბაღის დირექტორი იყო, მაინც ჩააბარა



პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდები და სკოლის დირექტორობის სერთიფიკატიც მოიპოვა. განათლების სამინისტრომ თავის აღმზრდელ საჯარო 139-ე სკოლაში განამწესა. სამეურვეო საბჭომაც დაამტკიცა დირექტორის თანამდებობაზე, მაგრამ... 45-ე ბაგა-ბაღის მუშაკები, მშობლები დაირაზმნენ და არსად გაუშვეს „თავისი“ დირექტორი. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა თბილისის განათლების სისტემაში. **იზა კვანტიძესაც** მტკიცედ სჯერა, რომ მისი გამოცდილება ბაგა-ბაღში გაცილებით უფრო საჭიროა.

45-ე ბაგა-ბაღის მუშაობის ძირითადი პრინციპი გუნდურობაა. ურთიერთშეთანხმებით, კოლეგიალობით, ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული მუშაობით მიიღწევა ის უმთავრესი, რასაც ბავშვების ფიზიკურად და სუ-



ლიერად ჰარმონიულად, ჯანმრთელად აღზრდა ჰქვია.

ასეთი მუშაობა აუცილებელია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან და საამისოდ 45-ე ბაგა-ბაღს ძლიერი სპეციალისტებისგან, ფსიქოლოგ **ლალი ნაზარაშვილისგან**, სპეცპედაგოგების: **ნანული აბუთიძისა** და **ნინო ფეიქრიშვილისგან**, ლოგოპედ **მაია შიხიაშვილისგან**



შემდგარი ჯგუფი ჰყავს. მათთანვე თანამშრომლობენ აღმზრდელები, მშობლები. დირექტორის თქმით, სწორედ მათი შემოქმედებითი შრომის შედეგია, რომ პატარები აქ თავს კომფორტულად გრძნობენ.

თუმცა, 45-ე ბაგა-ბაღს საფიქრალს უჩენს ერთგვარი პრობლემა პარადოქსი – ბაგა-ბაღის პოპულარობა. იგი იმდენად მოთხოვნადია უბანში, რომ 365 ბავშვზე გათვლილ ბაღში უკვე 509 აღსაზრდელი ჰყავთ. ბაღში მიღების მსურველთა რიგი არა და არ წყდება, გადატვირთულობის გამო, იძულებული არიან უარით გაისტუმრონ.

ხომ ასე გადატვირთულია, ბაგა-ბაღი, მაგრამ კოლექტივის მონდომებით, ბაგა-ბაღების სააგენტოს (დირექტორი – **თემურ თორდინავა**) ზრუნვით, აქ სრულიად მოწესრიგებულია აღსაზრდელთა კვების, ჰიგიენური ყოფის საკითხები, ხოლო მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყველა საჭიროებას აკმაყოფილებს.

**„სასკოლო მზაობის“** პროგრამა მრავალმხრივი და ქმედითია. აი, თემატიკა: ოჯახი, ბუნება, ეკოლოგია, ქცევის წესები, ფლორა, ფაუნა, ქუჩაში მოძრაობის წესები. პატარების უკვე გაწაფულმა ხელებმა დაამზადეს საოცარი დეკორატიული ნაკეთობები, თოჯინები, აგერ, გირჩს თავი დაადგეს, ფრთები მაიწებეს და ბუ გამოვიდა. აგერ, კიდევ პინგვინი. ეს ხომ ფანტაზიასაც, საგნებში წვდომის უნარსაც უნვითარებს ყმაწვილებს.

წელიწადში ორჯერ – საახალწლოდ და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტებს 45-ე ბაგა-ბაღის მოცეკვავეები ხსნიან. ბათუმში გამართულ ამიერკავკასიის ხალხთა ფესტივალზეც ყოველწლიურად იწვევენ.

ფსიქოლოგის ხელმძღვანელობით ხორციელდება დირექტორის იდეა – 4-5 წლის ყმაწვილების **ინტელექტუალური შეჯიბრი**, მუსიკალური და ქორეოგრაფიული თანხლებით, ხოლო უმცროსები ინსცენირებულ ზღაპრებში მონაწილეობენ.

დირექტორთან ერთად, ბაგა-ბაღის ყოველი წარმატება მთელი კოლექტივის: დირექტორის



მოადგილის **რუსუდან კობიაშვილის**, აღმზრდელების:**ხათუნა ხავთასის**, **მანანა ქველაძის**, **ირმა ბერიძის**, **მარინე ზაზიევაპოლოსიანის**, **ლალი ბერიას**, **მაია ვაშაყმაძის**, **ანა მესხორაძის**, **ლელა ნადირაძის**, **ნანი ნახუცრიშვილის**, **ანა ჯანიაშვილის**, **ქეთინო მესხორაძის**, **ნინო ფანქველაშვილის**, **ეკატერინე ბანე-**



**თაშვილის**, **ნატო იაშალაშვილის**, **მანანა ზაქარეიშვილის**, **მარიამ ფუტკარაძის**, **მანანა ციცვიძის**, **გვანცა მესხორაძის**, **მაკა გიორგაძის**, მათი თანაშემწეების: **მზია ბეროშვილის**, **მანანა დაუშვილის**, **ლია ფოცხვერაშვილის**, **შორენა გეგუჩაძის**, **ნანა ჩხაიძის**, **მაია ყანჩაველის**, **დალი მათიაშვილის**, **ნათია წიკლაურის**, **ლია ბაკურაძის**, **ცისანა მელქაძის**, **ნაირა ლაზარაშვილის**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **მაია თათარაშვილის**, საქმისმწარმოებლების – **იზა გრიგოლიასა** და **ნესტან ზუკაკიშვილის**, მეთოდისტის **თეა გაჩეჩილაძის**, ექიმის **მარინე ბოკუჩავას**, ცეკვის მასწავლებლების – **ქეთევან ჩალაძისა** და **გელა ცნობილაძის**, მუსიკის პედაგოგის **ნინო ჭკუასელის**, მრეცხავების: **ნინო ლალიაშვილის**, **ლია ალანიას**, **მაია ნადირაშვილის**, **ვერიკო ასლანიკაშვილის**, **ნინო თუთბერიძის**, **ნარგიზ ცუცქირიძის**, **ქეთევან მესხორაძისა** და **ნატალია ხასიტაშვილის**, მზარეულ **მზია კევლიშვილის**, მისი თანაშემწეების: **თეონა ბროლაძისა** და **შორენა ელანდიშვილის**, დამლაგებლების – **მერი მირიანაშვილის**, **მანანა ავდიევის**, **მაია გორგოძის**, **რუსუდან ზარიძის**, დარაჯების – **ვლადიმერ მათიაშვილისა** და **რომანოზ კალაიჩევის**, მეუშის **ზაზა ზითანიშვილის**, მებაღის **ომარ ჩიბურდანიძის** ერთობლივი, მიზანმიმართული და ენერგიული შრომის ნაყოფია.

სასიამოვნო სიურპრიზია: 45-ე ბაგა-ბაღი წლეულს 50 წლის გახდა, ხოლო დირექტორობის მრგვალი თარიღი – 10 წელიწადი, უსრულდება **იზა კვანტიძეს**.

გვჯერა, 45-ე ბაგა-ბაღი კვლავაც მრავალი წარმატებით გაგვახარებს.

**კოტე ოდიშელიძე**



**არდავიწყება მოყვრისა...“**

# აღმზრდელის ნიჭით დაჯილდოებული

**ახლაც**, რამდენიმე წლის შემდეგაც, თვალწინ მიდგას მაღალი, ასხლეტილი, იშვიათი აღნაგობისა და კიდევ უფრო იშვიათი, მშვიდი, სასიამოვნოდ მჟღერი ხმით დინჯად მოსაუბრე, რომლის ყოველ მიმოხვრას, სიტყვას თუ ფრაზას უცილობლად აჩნდა ნამდვილი კაცურკაცობის, ქართული მშვენებით გამოკვეთილი დარბაისლური იერი და, რაც მთავარია, დიდი გულის სითბო, ასე უხვად რომ უნაწილებდა ყველას და ყველგან, მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს. სწორედ ასეთი ახსოვდა და ახსოვს იგი ყველას, ვისაც კი მასთან რაიმე შეხება, მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობა ჰქონია. ამის დასამახსოვრებლად, ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ ამ დიდებულ პიროვნებასთან შეხვედრის ერთი ეპიზოდიც კი იკმარებდა.

ამის დასტური იყო ის დიდი გლოვაც და მწუხარებაც, რაც **ირაკლი ილიას ძე ხეთერელის** – პედაგოგიური შემოქმედებითი ცხოვრების დაუმცხრალი მოღვაწის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, ამ თვალსაჩინო პედაგოგისა და უზადო მოქალაქის უდროო, მოულოდნელმა აღსასრულმა გამოიწვია დედაქალაქის პედაგოგიური საზოგადოების, ახლობლების, მრავალრიცხოვანი მეგობრების, მთელი ინტელიგენციის წარმომადგენლებში, მის დიდ შესანიშნავ ოჯახში.

და განა მხოლოდ დედაქალაქისა...

მან ხომ სრულიად ახალგაზრდამ შეაღო სკოლის კარი და იმთავითვე, თავისი ცხოვრების – პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისშივე, სიცოცხლის დედააზრად, უმთავრეს და უპირველეს მიზნად დაისახა, რომ ამიერიდან უნდა გაეღო თავისი აღსაზრდელების გულისა და გონების კარი და გზადაგზა, ყოველჟამიერად ეთესა მათ უმანკო სულში სიკეთის, სიბრძნისა და მოყვასის სიყვარულის მარცვლები.

და ასეც იყო. თუმც იმ მრისხანე ხანს ქრისტე არ იხსენიებოდა, მაგრამ, მამაზეციერმა მას უხვად მიჰმადლა კეთილბუნება, გონიერება, გულისხმიერება, დაუზოგავი შრომის უნარი, სათნოება და, უწინარეს ყოვლისა, ნიჭი კაცთმოყვარეობისა. ამ საზრისით და ღვთისმოსაობით უვლიდა და უფრთხილდებოდა კიდეც თავის სააღმზრდელო სამყაროს. თავისებურად ეს მისი სალოცავი სამყარო იყო და, ამ სულისკვეთებითაც ილვაწა უშურველად და უზომო ენერგიით, მთელი თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

1940 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ **ირაკლი ხეთერელი** დაინიშნა სოფელ ცუცხვათის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ბიოლოგიის მასწავლებლად. მოკლე ხანში იგი გადაიყვანეს სოფელ ორპირის საშუალო სკოლის დირექტორად და ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად. მაგრამ, უმჯობესია, აქ თვით **ირაკლი ხეთერელის** თანამეცხედრის, შესანიშნავი კოლეგის და თანამოღვაწის ქალბატონ **მათიკო (ფუჩქი) გორგოძე – ხეთერელის** მოგონების ფურცელს დავესესხო.

„ჩვენ, 21 წლისანი, 1940 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებულნი, სამუშაოდ გაგვანაწილეს ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათის საშუალო სკოლაში პედაგოგებად. როგორც იტყვიან, იქ „დავვაჟკაცდით“. იქ შეგვეძინა სამი შვილი. 1945 წელს ირაკლი დააწინაურეს და გადაიყვანეს სოფელ ორპირის მშენებარე სკ-





ოლის დირექტორად, სადაც იმ დროისათვის შენობის მხოლოდ საძირკველი იყო გაჭრილი.

ირაკლი მუშებთან ერთად თავდაუზოგავად შრომობდა, ილვწოდა და ახლაც თვალწინ მიდგას ის დიდი ზარზეიმი, რაც სკოლის შენობის გახსნის დღეს სუფევდა ორპირში, იქ მოწვეულ სტუმრებთან ერთად. ამის შემდეგ სკოლაში მრავალ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. იმართებოდა პოეზიის საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან.

როგორც ქალბატონი **მათიკო (ფუჩქი) გორგოძე – ხეთერელი** აღნიშნავს თავის მოგონების ფურცელში, ორპირის საშუალო სკოლის ხშირი სტუმარი ბრძანებულა დიდი **გალაკტიონი**. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მგოსნის შეხვედრა ორპირელ მოსწავლეებთან, რაც საინტერესოდაა მოთხრობილი **ფატი ნიშნიანიძის** წიგნში **„გალაკტიონის ცხოვრებიდან“** და, ალბათ, საინტერესო იქნება ეს მშვენიერი ეპიზოდიც შევახსენო მკითხველს:

„მანქანა სოფელ ორპირს მიუახლოვდა. აქ, მიუხედავად წვიმისა, გზის ორივე მხარეს, ყვავილებით ხელში მოსწავლეები და მასწავლებლები ჩამწკრივებულიყვნენ და სახეგაბრწყინებული შეხვდნენ სასურველ სტუმარს. მანქანა გააჩერეს. გადმოვიდა გალაკტიონი, რომელიც იქვე, სკოლის შენობაში, მიიწვიეს. გაიმართა მიტინგი. სტუმარს გულთბილად მიესალმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი... მგრძნობიარე სიტყვებითა და საკუთარი ლექსებით მიმართეს გალაკტიონს მოსწავლეებმა. მშვენიერი ლექსითმიესალმა პოეტს მეათე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე **ნინელი ხეთერელი**: „გრძნობამ თავი ვერ დამალოს, გულის კარი გაამტვრიოს, დღეგრძელობას უსურვებდეს მარად უჭკნობ გალაკტიონს...“

ასეთი თბილი შეხვედრით აღტაცებულმა გალაკტიონმა მადლობა გადაუხადა მასწავლებლებს, ახალგაზრდებს და სხვათა შორის თქვა:

– ოდესღაც ტყიბულის ერთერთ სოფელში მამაჩემი მუშაობდა მასწავლებლად. მე, რა თქმა უნდა, მამაჩემის სიცოცხლეში ვერ ჩამოვიდოდი აქ, რადგან მამა, ჩემს დაბადებამდე, რვა თვით ადრე გარდამეცვალა. მერე კი, როცა წამოვიზარდე, მინდოდა მენახა ტყიბული. ერთი ჩემი მეგობარიც მთხოვდა 1912-13 წლებში ჩამოვსულიყავი აქ, სადაც იგი მასწავლებლად მუშაობდა, სადაც ადრე მამაჩემს უმოღვაწია, მაგრამ დღემდე რატომღაც ვერ შევასრულე ეს და ახლა თუნდაც ამიტომ უფრო მახარებს ამ კუთხის ნახვა და თქვენი ასეთი დიდებული შეხვედრა“. (ფ. ნიშნიანიძე, „გალაკტიონის ცხოვრებიდან“, 1964, გვ. 175-177). ამ სტუმრობისას პოეტთან სურათიცაა გადაღებული, რომელზეც აღბეჭდილი არიან ორპირელი მოსწავლეები, წინა პლანზე **გალაკტიონ ტაბიძე**,



**ირაკლი ხეთერელი**, **სეით ჯინჯიხაძე**. სურათი გადაღებულია 1956 წელს.

ორი ათეული წელი იმუშავა **ირაკლი ხეთერელმა** ორპირის საშუალო სკოლაში. ამავე დროს იყო ტყიბულის რაიკომის ლექტორი და სასოფლო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი. ამ ხნის მანძილზე თავისი კეთილსინდისიერი, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით და თავისი კეთილშობილი ბუნებით ტყიბულელთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სამგლოვიარო დღეებშიც გულში ღრმა ტკივილით, მაგრამ დიდი ღირსების გრძნობით აღნიშნავდნენ მეგობარი კოლეგები:

„ჩვენს რაიონში მუშაობის ოცი წლის განმავლობაში **ირაკლი ხეთერელმა** ბევრი საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთა მოზარდი თაობის აღზრდისათვის. იგი იყო უნარიანი, პრინციპული, მომთხოვნი და, ამასთანავე, გულისხმიერი ხელმძღვანელი და აღმზრდელი.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ წლების მანძილზე **ირაკლი ხეთერელის** მიერ აქ გაწეული შრომისათვის გადაუწყვეტიათ, რომ ორპირის საშუალო სკოლისათვის მიენიჭებინათ ირაკლი **ხეთერელის სახელი, რასაც მოჰყვა ქალბატონი** მათიკო (ფუჩქი) გორგოძე-ხეთერელის საპასუხო-სამადლობელო წერილი: „მადლიანო ხალხო! თქვენ ალბათ ყველანი ჩემთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდები ხართ. მე უკვე 80-ს გადავაბიჯე. იქნებ ზოგი თქვენგანი ჩემი და ირაკლის ნამოწაფარიც იყოთ, ან იქნებ თქვენი მშობლების მეხსიერებაში მაინც შემორჩა ირაკლი ხეთერელის ხსოვნა, რომლის უკვდავსაყოფად თქვენ ასეთი დიდებული საქმე გადაგიწყვეტიათ. მინდა გითხრათ ულრმესი მადლობა იმ დიდი სიხარულის განცდისათვის, რომელიც ამ ამბავმა გამოიწვია ჩემსა და ჩემს შვილებში. თქვენ ხომ ამით გაგვიცოცხლებთ ჩვენს საყვარელ ადამიანს, რომელიც 56 წლის ასაკში უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან და თავისი ახალგაზრდობის წლებში უამრავი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო. სამადლობელო წერილი 2001 წლის მარტითაა დათარიღებული. სამწუხაროდ, ხეთერელების ოჯახის ეს დიდი სიხარული ამაო გამოდგა, რადგან საქმე სხვაგვარად წარიმართა. მაგრამ თვით ეს მნიშვნელოვანი ფაქტი რომ **ირაკლი ხეთერელის** ორპირელთა ხსოვნაში დატოვებულ კეთილ კვალზე, მის ნათელმოსილ პიროვნებაზე მეტყველებს, ცხადზე უცხადესია.

სწორედ ამ მხრივ მინდა გავიხსენო პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის **ეთერ ხუფაცარიას** წერილი „კეთილსახსოვარი“ („თბილისი“, 16 აპრილი, 1984 წ.), რომელიც მეცნიერმა ირაკლი ხეთერელის გარდაცვალების 10 წლისთავს მიუძღვნა: „ბავშვებს ყოველ წუთს ჩემს სახეზე უნდა წაეკითხათ ჩემი მათდამი დიდი სიყვარული, ის, რომ იმათი ბედნიერება, ჩემი ბედნიერებაა, იმათი სიხარული, ჩემი სიხარულია“ – წერდა ჰენრიხ პესტალოცი, რომლის სახელსაც უკავშირებენ პედაგოგიკის ისტორიის ახალ ხანას.

გამოჩენილი პედაგოგის აქ აღწერილი აღმზრდელის სითბო და გულისხმიერება, – განაგრძობს ქ-ნი ეთერი, – კიდევ უფრო მეტ ცხოველმყოფელობას იძენს, როდესაც თვალწინ წარმომიდგება ჩვენგან უდროოდ წასული ამაგდარი მასწავლებლის თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატის დირექტორის **ირაკლი ხეთერელის** ნათელი სახე.

მახსენდება იგი თავისი კეთილი ღიმილით, სიყვარულით რომ მოძღვრავდა სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს, ბუნებით დაჩაგრულ ადამიანებს, სათუთად რომ ახარებდა თითოეულ მათგანში ზნეობის სპეტაკ ყვავილებს.

**ირაკლი ხეთერელი**, – აღნიშნავს აქვე ქალბატონი ეთერ ხუფაცარია, – სურდოპედაგოგთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ბუნებით დაჩაგრულ ბავშვთა სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

**ირაკლი ხეთერელმა** თავისი სიცოცხლის ბოლო ათი წელი ასეთი ბავშვების სწავლა-აღზრდას შეალია. მას გარკვეული წვლილი მიუძღვის სმენადარღვეულ ბავშვთა სპეციალური სახელმძღვანელოების შედგენაში. მისი თანაავტორობით გამოვიდა IV კლასის არითმეტიკის სახელმძღვანელო. მანვე გაუკეთა რედაქცია დაქტილურ ანბანს, თარგმნა ყრუ-მუნჯთა ბავშვების სკოლის მოსამზადებელი კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო.

უდროოდ შეწყდა **ირაკლი ხეთერელის** სიცოცხლე, დიდი სევდა დაგვიტოვა ყველას, დაგვრჩა კეთილი მოგონებანი. დღე არ გავა, რომ არ მოვიგონოთ ეს იშვიათი ბუნების, ფართოდ ერუდირებული, გულისხმიერი ადამიანი. ამჯერადაც, – დასძენს მეცნიერი, – მთელი პედკოლექტივის სახელით მსურს მოვიგონო ეს ღვაწლმოსილი მუშაკი, მისი კეთილი საქმე, რაც დავიწყებას არ ეძლევა, რამეთუ წარსულის ხსოვნა, პატივისცემა, ეს აწმყოს და მომავლის სიყვარულია“.

2018 წელს შესრულდება 100 წელი **ირაკლი ხეთერელის** დაბადებიდან. 1974 წელს აღესრულა. სიცოცხლის 56 წელი მიითვალა მხოლოდ. მაგრამ ეს არცთუ მომეტებული ხანიც და მის მიერ სპეტაკად განვლილი ცხოვრების გზაც მარადის ადამიანური ღირსებით, მისი კეთილი საქმეებით და უმწიკვლოებით იქნება დამშვენებული.

ასევე გრძელდება ცხოვრება **ირაკლი ხეთერელის** დიდ ოჯახში. მის დიდ დანატოვარში.

**ციური ხეთერელი,**
**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი**

ნიჭის ელვარება

# სამყაროში ჩვენ მარტონი არ ვართ!



**მეგობრის** წიგნის წარდგენაზე გახლდით. იქ დიდი ხნის უნახავი მეგობარი შემხვდა. მას ლექსების კრებული ეჭირა ხელში. ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის ლექსებიაო, – მითხრა და მასთან ინტერვიუს ჩაწერა მირჩია. დავუკავშირდი რესპონდენტს. ვიფიქრე, ჩვეულებრივ კითხვებს დავუსვამ ლექსის, მუზის და ოცნებების შესახებ-მეთქი, მაგრამ ამ ოცი წლის ყმაწვილს ლექსიც გასაოცარი აღმოაჩნდა, მუზაც და ოცნებებიც. კარგი ახალგაზრდა თაობა გვყავს, მაგრამ **დევი დგებუაძემ** ნამდვილად გამაკვირვა თავისი არაორდინალური აზროვნებით, გულწრფელობით, საკუთარი მსოფლმხედველობით. მას ნაფიქრი აქვს ისეთ თემებზე, რომელზეც დიდი მეცნიერები, დიდი ფილოსოფოსები და დიდი ადამიანები ფიქრობენ ხოლმე. და რაც მთავარია, მას ყველა საკითხზე ჯანსაღი დასკვნები გააჩნია. ჩემი აზრით, ინტერვიუს დასრულება არ მინდოდა. დიდი ინტერესითვუსმენდი მის მოსაზრებებს, რაც ორმაგად სასიამოვნო იყო რესპონდენტის ხმის ტემბრისა და მშვიდი, დახვეწილი თხრობის უნარის გამოც, რომელიც სიყვარულს და სითბოს ასხივებდა. **დევი დგებუაძე** დაიბადა 22 მაისს. 1996 წელს, თბილისში დაამთავრა ილია ვეკუას სახელობის სკოლა. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ფიზიკის მიმართულებით. ინტერვიუს შემდეგ შესანიშნავი კომპოზიციები მოვისმინე გიტარაზე დევის შესრულებით. მას აგრეთვე ბევრი საინტერესო გატაცება აქვს. ვრცელი დიალოგიდან მხოლოდ რამოდენიმე კითხვაზე ძირითად პასუხებს გთავაზობთ:

– ***დევი, საინტერესო ლექსები გაქვს, როგორც მივხვდი, ლექსებში ამბობ შენს სათქმელს.***

– დიახ, ჩემს ლექსებში ნათლად ჩანს ჩემი დამოკიდებულება ამა თუ იმსაკითხისადმი. მაგრამ მე ამას იმიტომ არ ვწერ, რომ ვინმემ ეს გაითვალისწინოს. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და მას თავის უფლებები აქვს. ახლა მითოლოგიურ პოემაზე ვმუშაობ, რომლის გმირი არ მომკვდარა, მაგრამ მოხვდა იქ, სადაც გარდაცვლილები ხვდებიან და მან იქედან თავი უნდა დააღწიოს. პერსონაჟები ბოროტები და სასტიკები არიან და ვცდილობ, ადამიანებს დავანახო ბოროტებისგან თავისდაღწევის ჩემეული გზები.

– ***სიყვარულზეც გაქვს ლექსები. ისინიც ძალიან მომეწონა.***

– სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია სიცოცხლეც და სამყაროც. ეს ისეთი ამაღლებული გრძნობაა, რომელიც ყველამ უნდა გამოცადოს, მაგრამ მე არ მგონია, რომ სიყვარული იდეალური და მარადიულია. ჩემი აზრით, სიყვარულს აქვს რამდენიმე ეტაპი. აგრეთვე არიან ადამიანებიც, რომლებიც სხვადასხვაგვარად განიცდიან სიყვარულს – ვინც ეძებს სიყვარულს, ვინც სიყვარულის მოლოდინშია, ვინც არც ეძებს და არც ელოდება და არის, ვისაც უბრალოდ უყვარს. მე თვითიონ ყოველთვის ვარ შეყვარებული. სიყვარული ეხმარება ადამიანს, უკეთესი იყოს, მაგრამ როცა სიყვარულს ვახსენებთ, არ უნდა დავივიწყოთ სიძულვილიც. მაშინ აქვს სიყვარულს სიმძაფრე, როცა სიძულვილიც არსებობს.

– ***შენ გერმანიაშისწავლობდი, როგორია შენი შთაბეჭდილება ამ ხალხზე?***

– საუკეთესო. ძირითადად არსებობს აზრი, რომ გერმანელები ცივებიარიან. მე ასეარ ვფიქრობ. თანდათან ადამიანებმა შეიგნეს, რომ ადამიანს დარეკვის და შეტყობინების გარეშე არ უნდა მიადგე, თუნდაც მარტივი მიზეზის გამო, რომ ის შეიძლება სახლშიარ დაგხვდეს. სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს ფართო ცნება. მოულოდნელ სტუმარს როგორ ექცევი, ეს არ არის სტუმართმოყვარეობა, არამედ რას უკეთებ, იმ ადამიანს, რომელსაც მოელოდი. ადამიანს ბოლომდე და გულით უნდა სცე პატივი. მე პირადად ძალიან მიყვარს სტუმარი, შორებელიც და ახლობელიც. სტუმარი ხომ შესაძლოა მეგობარიც იყოს. გერმანიაში მე ჩემს ნახევრად გერმანელ დეიდაშვილებთან ვიყავი და ძალიან დიდ სითბოს ვიღებდი მათგან. მომწონს, რომ ისინი პუნქტუალურებიარიან. საჭმელს უკვეთავენ იმდენს, რამდენის მირთმევაც შეუძლიათ. ტრანსპორტი არ იგვიანებს არც ერთი წუთით. იციან დროის ყადრი. რასაც სწავლობენ ხარისხიანად სწავლობენ და დიდ მნიშვნელობას პრაქტიკას ანიჭებენ.

– ***განათლების სისტემა თუ მოგწონს საქართველოში?***

– იმედი მაქვს, რომ გამოსწორდება. ახალი მინისტრი გვყავს და მჯერა, რომ ეს ადამიანი შეძლებს ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალოს. ის ამ სფეროში გამოცდილია და ვფიქრობ უნდა ვაცალოთ, ნაადრევი შეფასებები არ გავაკეთოთ. მას ახლებური ხედვა აქვს, რაც მიუღებელი გახდა ხალხისთვის. მაგალითად, ის არ აკრიტიკებს ზღაპრებს, არამედ ამბობს, რომ თაობები იცვლებიან, ბავშვები განვითარდნენ და თუ ადრე ვინმეს არ ადარდებდა ერთი რამ, დღეს ეს საკითხი მტკივნეული შეიძლება იყოს ბავშვებისთვის. ეს არის და ეს.

– ***იცხოვრებდი გერმანიაში?***

– არ ვიცი, თუ მაინც და მაინც საზღვარგარეთ უნდა ვიცხოვრო, მაშინ იტალიას ვირჩევდი, ფლორენციას. ლამაზი არქიტექტურის და სტილის ქვეყანა მირჩევნია.

– ***შეირთავდი უცხოელს ცოლად?***

– რატომაც არა. ყველა ერის ადამიანს თავისი მიმზიდველობა აქვს. ქართველი გოგონებიც ლამაზები არიანდა უცხოელებიც. გააჩნია, რომელი შეგიყვარდება. ჩემთვის არც ეროვნებას, არც სარწმუნოებას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

– ***როგორ გგონია, დღესაც არსებობს მამებისა და შვილების თაობათა ბრძოლა?***

– საქართველოში ეს უფრო ზემოქმედებაა. ხშირად მინახავს, როცა შვილს უნდოდა ერთ სპეციალობაზე ჩაებარებინა, მაგრამ მათზე ზეგავლენა მშობელმა მოახდინა და სხვაგან ჩააბარა. საერთოდ ზემოქმედება ახლა უფრო მეტია, ვიდრე წინა თაობის. ადრე ახალგაზრდები უფრო ძლიერად იცავდნენ თავის პოზიციას, რადგან არ იყვნენ შეზღუდულები არსებული მსოფლმხედველობის მიერ. მიმაჩნია, რომ ადამიანზე ზემოქმედება არ არის კარგი, მითუმეტეს, როცაიმ ასაკშია, როცა გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად შეუძლია.

– ***რა არის ყველაზე დიდი სიმდიდრე?***

– მე მგონი ის უნარი, რითიც სხვებს ბედნიერებას ანიჭებ, სხვებს გაახარებ.

– ***გსურს გახდე პოლიტიკოსი შენიმოსაზრებების განსახორციელებლად?***

– არა, არასოდეს. პოლიტიკოსისთვის მთავარი მიზანი, რომლისთვისაც ყოველნაირ ხერხს მიმართავს. პოლიტიკოსი შეიძლება დაპირდეს ადამიანებს ისეთი რამის შესრულებას, რაც საერთოდ შეუსრულებადიც კი იყოს. პოლიტიკა ვერასოდეს ვერ იქნება სუფთა. ეს პოლიტიკოსებზეც კი არ არისდამოკიდებული. რაცშეეხება ხელოვნებას, ეს ძალიან მიყვარს. მიყვარს მუსიკა, ფერწერა. მიყვარს პოეზია და საერთოდ ისეთ რამეში მიყვარს ჩართვა, რაც არ მღლის. ადამიანი იღლება არა რაიმეს კეთებით, არამედ არასასურველი რამის კეთებით. როცა სურვილის წინააღმდეგ მიდიხარ, ენერგიას ხარჯავ, და როცა სურვილით აკეთებ, პირიქით, ენერგიას იღებ.

– ***შესაძლებლობა რომ გქონდეს, რას შეცვლიდი?***

– მიფიქრია ამაზე, მაგრამ ისიც მიფიქრია, რომ ამას ხომ ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე გავაკეთებდი. ხოლო, იქნებოდა თუ არა ეს მართლა სწორად გაკეთებული, არა ვარ დარწმუნებული. ვაი და, რასც ვთვლი, სწორია, შეცდომა აღმოჩნდეს და უსამართლობა. ამიტომ არაფერს შევცვლიდი. უბრალოდ ვისურვებდი, რომ




ადამიანებმა იაზროვნონ დამოუკიდებლად, სურვილი მაქვს, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქრონ. მინდა ადამიანები შეიცვალონ უკეთესობისკენ.

– ***როგორიაკარგი ადამიანი?***

– ადამიანი, რომელიც სხვის ბედნიერებაზე ფიქრობს და ზრუნავს.

– ***რა არის შენთვის ყველაზე ცუდი რამ?***

– ცუდია სხვა ადამიანის აზრის უპატივცემლობა. არა რჩევა, არამედ მცდელობა სხვას მოახვიოს საკუთარი აზროვნება. დღეს ძალიან ბევრი რამაა თავსმოხვეული. მე ვერ ვეთანხმები ბევრ წესს და ჩემი მსოფლმხედველობა მაქვს. მაგალითად, მიუღებელია ბავშვის მონათვლა. ის უმწეოა, გაუაზრებელად იღებს, რასაც აძლევენ. ეს ძალადობაც კი არის ბავშვზე. არც ერთი რელიგია არ მომწონს, ამიტომ მაქვს ჩემისაკუთარი მსოფლმხედველობა. ადამიანები რელიგიაში შვებას და შველას ეძებენ. იმედი აქვთ, რომ თუ რამეს დააშავებენ, ჰგონიათ, რომ მათ მიეტევებათ ან შერჩებათ. და ეს აძლევს მათ საშუალებას დაივიწყონ თავიანთი დანაშაულიდა აღარ შეაწუხოს ისინი სინდისმა. ზოგს ჰგონია, რომ თუ მეორე ადამიანს აპატია, ესე იგი შეიძლება ამ საქციელის დავიწყება. ან მოძღვარმა თუ უთხრა, რომ მას ეს ცოდვა ეპატია, ისინი თავისუფლად გრძნობენ თავს. ჩემი აზრით კი, მთავარი ის არის, საკუთარმა თავმა თუ გაპატია. ამიტომ უნდა ვეცადოთ ნაკლებად დავუშვათ შეცდომები, რადგან ისინი ვერ მოგეტევება. შესაძლოა მათი ხელახლა არჩადენა მხოლოდ.

ცუდია ჩემთვის აგრეთვე, რომრელიგია გამოიყენება სამართავად, პოლიტიკოსები იყენებენ რელიგიას, როგორც მათთვის დამხმარე იარაღს, რადგან ეკლესია უფრო ახლოსაა ხალხთან, ვიდრე პოლიტიკოსი. მაგრამ ამ ხალხში ყოველთვის იკვეთება პიროვნება, რომელიც თავის სიტყვას მაინც იტყვის. სამწუხაროდ, უმრავლესობის აზრი ბატონობს უმცირესობაზე. ამას დემოკრატია ჰქვია. მე არ მომწონს ეს, მაგრამ ჯერჯერობით სხვა პოლიტიკური ფორმა არ არსებობს.

– ***ღმერთი გწამს?***

– დიახ. მაგრამ ის ჩემი გაგებით სხვაგვარია, არა ისეთი, როგორსაც გვიხატავენ. ადამიანმა უნდა შეიცნოს სამყარო, იაზროვნოს და სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს.

– ***უცხოპლანეტელების არსებობის თუ გწამს?***

– ჩემიაზრით, სივრცეში, რომლის მასშტაბზე წარმოდგენა არ გვაქვს, ნამდვილად შეიძლება არსებობდეს სიცოცხლე. დღესდღეობით ორი განსხვავებული აზრია გავრცელებული საზოგადოებაში ადამიანის წარმოშობასთან დაკავშირებით, ერთი – რელიგიური, რომელიც ხაზგასმით გვამცნობს, რომ ამ სამყაროში მარტო ვართ, ანუ სიცოცხლე სხვაგან არ არსებობს, ხოლო მეორე – მეცნიერული, რომელიც გვესაუბრება ფართო მასშტაბებზე მომხდარ აფეთქებაზე. მე არ წარმომიდგენია, თუ როგორები შეიძლება იყვნენ ისინი, მაგრამ თუ სხვა სიცოცხლე არსებობს, მაშინ არ მგონია მხოლოდ ერთ პლანეტაზე იყოს და ყველა ერთმანეთს გავდეს. გარემო დიდ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ცოცხალი ორგანიზმის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ, ჩემი აზრით, მათი ვიზუალი და ორგანიზმის თავისებურებები აუცილებლად იქნება რადიკალურად განსხვავებული ჩვენი ორგანიზმისგან. გარკვეული ნაწილი სხვადასხვა პლანეტებზე მცხოვრები არსებებისა, შეიძლება ტექნიკის მხრივ მეტად ან ნაკლებად განვითარებული იყოს. დანამდვილებით ამის თქმა არ შემიძლია. ეს ყოველივე უბრალოდ ჩემი აზრია და მეტი არაფერი. ჩვენ ადამიანები, რომლებიც ვერ ვეგუებით გარკვეულ უცნაურობებს ან თუნდაც გამორჩეულობებს, იძულებულნი ვართ, ჩვენთვის მისაღებ ანსასარგებლო თემატიკაზე ავაგოთ მსჯელობა. სუბიექტურობა კი ხშირად ხელს უშლის სწორ პასუხამდე მიღწევას. ამის გამო გარკვეულ პასუხებს, რომლებსაც ორიენტირად მივიჩნევთ, დროთა განმავლობაში კრიტიკის ქარცეცხლში უხდებათ გზის გაკვლევა. ამგვარი პასუხები ან მთლიანად განიცდიან ტრანსფორმაციას, ან მათ უბრალოდ სამუდამოდ ივიწყებენ. მათ ადგილს უფრო სხვა დროის ცვლილებაზე მორგებული მოსაზრებები იკავებენ, რომლებიც ცდილობენ დეტალურად ახსნან ამა თუ იმ ადრინდელი პასუხის დაჩრდილვის მიზეზები. ეს კითხვა არასდროს არ იქნება ამოძირკვული ჩვენი ცნობიერებიდან, რადგან რაც უფრო მეტ თავისებურებებს ვადგენთ დედამიწის გარშემოარსებული სივრცის, მითუფრო ვხვდებით, თუ რაოდენ ბევრი გვიკლია სრულ ჭეშმარიტებამდე.

– ***რა არის ადამიანის სიცოცხლის არსი?***

– ალბათ, სიცოცხლის არსის გაგება.

**ესაუბრა**
**თამარ ლამპარაძე**

ევროსტანდარტების მხარდამხარ

# აკადემიკოსის წერილი უკრაინიდან



**ძვირფასო** საქართველოს მოქალაქეებო, ჩვენო საერთო მეგობრებო, სტუდენტო ახალგაზრდობავ, აკადემიკოს **სტეფან დემიანჩუკის** სახელობის საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორატი და პროფესორ – მასწავლებლები ვულოცავთ ერთმორწმუნე ქართველ ერს ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს, მშვიდობიან ზეცას, ჯანის სიმრთელეს და სულიერ სიმშვიდეს ვუსურვებთ, კიდევ უფრო განმტკიცებულიყოს ქართველი და უკრაინელი ერის მრავალწლიანი მშვიდობიანი მეგობრობა.

მიმდინარე სასწავლო წელს ლექცია-სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და სესიების ჩატარებისათვის ველოდებით სტუდენტთა გარკვეულ რაოდენობას საქართველოდან, მათთვის მზადყოფნაშია უნივერსიტეტის მდიდარი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, კაბინეტ ლაბორატორიები, სამართალმცოდნეობის სტუდენტებისათვის კრიმინალისტიკური ლაბორატორია, დისტანციური სწავლებისათვის ინფორმატიკის ცენტრი. პირველად საქართველოდან კერძოდ, **„ევროპული განათლების აკადემიიდან"** ველოდებით ფიზიკური რეაბილიტაციის სპეციალობის სტუდენტებს, მათთვის გამიზნულია სასწავლო საწარმოო პრაქტიკის გავლა უკრაინა როვნოს ოლქის საერთაშორისო სარეაბილიტაციო ცენტრში, რომელიც აღჭურვილია ევროპული სტანდარტების სარეაბილიტაციო აპარატურით. ჩვენი მიზანია მოვამზადოთ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც მაღალი ღირებულების მატარებელი იქნებიან საერთაშორისო ბაზარზე.



უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლიცენზიისა და აკრედიტაციის საფუძველზე 2017 სასწავლო წლიდან ეძლევათ საშუალება საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას კერძოდ, 9 კლასის (ზოგადი განათლების მქონე) მე-10, მე-11კლასის მოსწავლეებს გიმნაზიის, ლიცეუმის და ასევე კვალიფიკაციური მუშაკის საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დონის საფუძველზე მე-3 კურსზე-მონათესავე სპეციალობაზე ჩარიცხვის.

კოლეჯში სწავლება 3 და 4 წლიანია სპეციალობებისდა მიხედვით. სპეციალობების არჩევანი კი ფართოა: ეკონომიკური, სამართლის, პედაგოგიური, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. ეს უკანასკნელი მოიცავს ადამიანის მკურნალობასა და ფიზიკური რეაბილიტაციას ავადმყოფობის განკურნების შემდგომ პერიოდში მიღწეული ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

კოლეჯის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ჩაირიცხონ საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში შესაბამისი სპეციალობის მე – 3 კურსზე, სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში მე-2 კურსზე.

უნივერსიტეტისა და კოლეჯის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები ყველაფერს გააკეთებენ მათი მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის.

მე, როგორც ამ უნივერსიტეტის რექტორს და **დემიანჩუკის დინასტიის** საგანმანათლებლო გამოცდილების გამგრძელებელს, მაქვს პატივი მქონდეს აკადემიური და ახლო ურთიერთობა **„ევროპული განათლების აკადემიის"** ხელმძღვანელობასთან, რომელიც რამდენიმე წელია გრძელდება ფართო თანამშრომლობის სახით, კერძოდ, აკადემიის დირექტორთან, პროფესორ **სერგო ჭიჭალუასთან** და საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელთან, პროფესორ **დავით კუპრაშვილთან**, რომლებსაც უნივერსიტეტის სახელით მივანიჭე **საქართველოსა და ამიერკავკასიაში სრულუფლებიანი წარმომადგენლის სტატუსი**.

მათაც ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მიხარია, რომ საქართველოში მყავს საიმედო, განათლებული, ერთგული, პატიოსანი, საქმის მცოდნე სპეციალისტი მეგობრები.

**გელოდებით მე და ჩემი კოლეგები, ძვირფასო ქართველო ახალგაზრდებო, ღმერთი იყოს ქართველი და უკრაინელი ხალხების მფარველი!**

უნივერსიტეტის რექტორი **ანატოლი სტეფანეს ძე დემიანჩუკი** პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის განათლების დამსახურებული მუშაკი.

**მასალა მოამზადა**
**ირმა მეზონიამ**

დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე

# კერძო სკოლა „დეა" მეტად პოპულარულია



**ბავშვის** სწორად აღზრდა ერთნაირად საპასუხისმგებლოა ოჯახისა და სკოლისათვის. თუ ეს პასუხისმგებლობა ბოლომდე გაქვს გაცნობიერებული და შენი შრომის შედეგი გახარებს, მაშინ შენც კმაყოფილი ხარ, ბავშვიც და მშობელიც. როგორც დირექტორი **ვერა ყურულაშვილი** აღნიშნავს, მრავალპროფილიანი საერო სკოლა **„დეა"**, რომელიც 2009 წლიდან ფუნქციონირებს, ცოდნის ის კერაა, რომელშიც ბავშვი ბედნიერია, სადაც უდიდეს ყურადღებას აქცევენ აღზრდა-სწავლებას და მაქსიმალურ შედეგსაც აღწევენ.

რა განასხვავებს ამ სკოლას სხვებისაგან და რატომ უნდა ისწავლონ თქვენთან? – ვკითხე დირექტორს. აქ ბავშვებს სწორედ იმიტომ მოუხარიათ, რომ იციან, მათ პატივს სცემენ როგორც პიროვნებებს, თითოეული მათგანი ღირებულია ჩვენთვის და აქ არის მშობლიური, კეთილგანწყობილი გარემო – მიპასუხა მან.

სკოლამ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და ამჟამად 150-მდე მოსწავლე ჰყავთ. უსაფრთხოების მექანიზმითა და სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი შენობა, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, სასწავლო პროცესი უახლესი მეთოდებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივ ოლიმპიადებში, სადაც სხვადასხვა ხარისხის დიპლომებით ჯილდოვდებიან. ესენი არიან: მეოთხე კლასელი **გიორგი გოგელია** (პედაგოგი **მარინე ჭარელიშვილი**) **„კინგსის"**, **„ევერესტისა"** და სხვა ოლიმპიადების, **„კრეატიული აზროვნებისა"** და ხატვის კონკურსის გამარჯვებული; **ანა ზაქუტაშვილი** (მე-3 კლასი), **თაკო ქუთელია** (მე-4 კლ. ); **ნინო გეგეშიძე** და **დიმიტრი მარგიშვილი** (მე-5 კლ. პედაგოგი – **ლიკა ჯოლოგუა**); **ლუკა გუმბერიძე** (მე-8 კლ. პედაგოგი – **ნინო კაზარიანი**).

წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სკოლას ყოველწლიურად ჰყავს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები და მხოლოდ ამ სკოლაში მიღებული ცოდნით, რეპეტიტორის გარეშე, ყველა კურსდამთავრებული გრანტის მფლობელი სტუდენტია.

სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. მათგან უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლები არიან: დირექტორის მოადგილე **ანა მურაჩაშვილი** (ქართული ენა და ლიტ.), **მარინე პურიჭამიაშვილი**



(მათემატიკა, ისტ.), **სოფიო სახიაშვილი** (ისტორია), **ვერა ყურულაშვილი** (ქიმია, ლოგიკა), **არსენ ბახია** (ბიოლოგია); ასევე, პრაქტიკოსი, თავისი საქმის პროფესიონალები: **ლალი იაშვილი** (ქართული ენა და ლიტ.), **ელენე ბოლქვაძე** (ქართული, მათემატიკა), **მაკა ადეიშვილი** (საბუნებისმეტყველო), **როზა კაზარიანი** (მუსიკა), **ქეთევან ლაცაბიძე** (ინგლისური ენა), **მარიანა მულაძე** (მათემატიკა), **მარინე ჭარელიშვილი** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ბუნება, ლოგიკა), **მაკა ნიკოლაიშვილი** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), **სარდიონ შაფათავა** (რუსული ენა), **შორენა შინჯიკაშვილი** (მათემატიკა, ფიზიკა, ჭადრაკი), **ეკა ჭოველიძე** (ისტორია, სამოქალაქო განათლება), **ლეილა ხიზანიშვილი** (ქართული ენა და ლიტ. რელიგია და კულტურა), **შორენა ჯოლოგუა** (ინგლისური ენა), **ლიკა ჯოლოგუა** (სპორტი).

ყოველი თვის პარასკევს, **„მშობელთა სკოლაში"** ფსიქოლოგი **შორენა ჟორჟოლიანი** და პედაგოგები განიხილავენ ბავშვის ასაკთან თუ პიროვნებასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს და მშობლებს აძლევენ რჩევებს, თანამშრომლობენ მათთან.

სკოლაში ტარდება კულტურული ღონისძიებები, ლაშქრობები, პოეზიის საღამოები. ყოველწლიურად, იდგმება სპექტაკლები, წარმოადგინეს მიუზიკლი **„რწყილი და ჭიანჭველა"** (I კლ. პედაგოგი – **ელენე ბოლქვაძე**), **„ვერის უბნის მელოდიები"** (მე-5-6 კლ. პედაგოგი – **ლიკა ჯოლოგუა**), **„ჯადოსნური სკივრი"** (I-II კლ. პედაგოგები – **შორენა ჯოლოგუა**, **ელენე ბოლქვაძე**), რომელთა ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები არიან პედაგოგები – **მაკა ნიკოლაიშვილი** და **ელენე ბოლქვაძე**. მუსიკის პედაგოგის **როზა კაზარიანის** ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა გუნდმა, ფესტივალზე **„მომავლის ვარსკვლავები"**, I ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა.



ძალიან საინტერესო სასკოლო პროექტია – **გავიცნოთ ჩვენი დედაქალაქი** – **„მე თბილისის ყველა ქუჩას ვიცნობ"**, რომელიც მესამე წელია ტარდება მე-8-11 კლასებში. ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები მინიშნებების საშუალებით ეძებენ რომელიმე ქუჩას, სადაც მათ ხვდებიან წარმომადგენლები და ეცნობიან ამ ქუჩის ისტორიას თუ ღირსშესანიშნაობებს. ტარდება ინტელექტუალური ღონისძიებები: პროექტი **„ყველაზე წიგნიერი"**, თამაში – **რა? სად? როდის?** თემატური ნამუშევრების გამოფენა, ასევე სპორტული სპარტაკიადები.

სასწავლო პროცესში, სხვა საგნებთან ერთად, ისწავლება საგანი – **ლოგიკა** და **კრეატიული აზროვნება**, სადაც პედაგოგები – **მარინე ჭარელიშვილი** და **ნინო კაზარიანი**, ბავშვის განვითარების თანამედროვე თეორიების საფუძველზე მოსწავლეებს მეხსიერებისა და ფანტაზიის უნარს უვითარებენ; ასევე ისწავლება რელიგია და კულტურა.

სკოლა **„დეა"** მთელი სასწავლო წლის მანძილზე ცდილობს მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა თანამედროვე სტანდარტების დონეზე წარმართოს. როგორც ქალბატონი **ვერა ყურულაშვილი** აღნიშნავს: „მასწავლებლობა რთული პროფესიაა. პედაგოგიკა არის ის, რაც ჩემი ცხოვრების მიზანი და შინაარსია. გიყვარდეს ბავშვი, ენდე მას და არ ავნო – აი, როგორ უნდა ცხოვრობდეს ნამდვილი პედაგოგი".

სადაც ასეთი საქმის სიყვარულია, გამარჯვებაც იქ არის!

**ნათია გურგენიძე**



სწავლების მეთოდიკა: მოწინავე გამოცდილება — ყველას!

# საგნობრივი (მათემატიკა) ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში

**მათემატიკა** მკაცრი, ზუსტი და აბსტრაქტული მეცნიერებაა. ფსიქოლოგიაში კი ცნობილია, რომ მოსწავლეები უფრო კარ-



გად სწავლობენ იმ საკითხებს, რომლებიც მათში ემოციურ რეაქციებს იწვევს. ამიტომ მათემატიკის მასწავლებელს მართებს დიდი შემოქმედებითობა, რათა მოსწავლეებმა ამ ერთი შეხედვით მშრალი სამეცნიერო საგნის შინაგანი სილამაზე დაინახონ.

საწყენია, რომ დღეს არავინ თვლის კულტურულად და განათლებულად ადამიანს, ვინც არ იცნობს შექსპირს, ბალზაკს, გოეთეს ან ტოლსტოის, მაშინ, როდესაც სრულიად ნორმალურად ითვლება, რომ გაგონილიც არ გქონდეს **ეილერის, კოშის**, **გაუსის** ან **მუსხელიშვილის** შესახებ. საწყენია ისიც, რომ მათემატიკა არასწორად ითვლება მშრალ მეცნიერებად, რომელიც მოკლებულია შინაგან სილამაზეს და ჰარმონიას. ინამდვილეში კი ბევრმა არ იცის, რომ ისეთი ესთეტიკური კატეგორიები, როგორიცაა ჰარმონია, სიმეტრია, პროპორცია წმინდა მათემატიკური ტერმინებია. მოსწავლეებს ხშირად ვესაუბრები კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე, რომლებიც სწორედ მათემატიკური კანონებით არიან შექმნილნი. **მიქელანჯელოს „დავითი“**, და **ვინჩის „მონა ლიზა“, აპოლონის ქანდაკება**, **პანთენონი**, **ჯვრის მონასტერი** და სხვა ბევრი ქმნილება ოქროს კვეთის მათემატიკურ პრინციპს ეფუძნება. მოსწავლეებს ვესაუბრები დიდ მათემატიკოსებზე, ვინც ამავე დროს პოეტებიც იყვნენ: **პიერ ფერმაზე**, ვინც შესანიშნავ ლექსებს წერდა ბერძნულ და ლათინურ ენებზე. **ომარ ხაიამზე**, ვინც პოეტობასთან ერთად დიდი მათემატიკოსიც იყო. ლექსებს წერდნენ **დეკარტი**, **ლობაჩევსკი**, **ლომონოსოვი**.

მსგავს თემებზე საუბარი ნამდვილად იწვევს მოსწავლეთა ინტერესის გაზრდას მათემატიკისადმი. მაგრამ ეს ინტერესი სიტუაციურია, შესაბამისად, ხანმოკლე და ნაკლებად მყარი. თანამედროვე, საბაზრო ეკონომიკის, სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის ხანაში მცხოვრებ მოსწავლეს პიროვნული, ინდივიდუალური ინტერესის გასაღვივებლად სჭირდება ისეთი გაკვეთილები, სადაც ხდება **პრაქტიკასთან მიახლოებული** პრობლემების გადაჭრა, სჭირდებათ ისეთი პროექტები, რაშიც მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში, განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობა მიეცემათ.

მინდა კოლეგებს **საგნობრივი ცოდნის ცხოვრებაში ტრანსფერის** მიმართულებით ჩემს მიერ განხორციელებული ზოგიერთი აქტივობის შესახებ მოვუთხრო.

წინა სემესტრში **ჩანჩხალოს საჯარო სკოლის** IX კლასის მოსწავლეები თემის **„სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი“** შესწავლას მონდომებით და დიდი ინტერესით შეუდგნენ. თეორიული მასალის ათვისების შემდეგ არ დავჯერდი მხოლოდ სახელმძღვანელოში და ტესტების კრებულში მოცემულ სავარჯიშოებს და გადავწყვიტე, მათთვის შემეთავაზებინა მოცემულ თემასთან დაკავშირებული პროექტი.

მოსწავლეებს გავაცანი ჩემი ჩანაფიქრის შესახებ, დაფაზე ჩამოვწერე რამდენიმე, საკითხთან რელევანტური თემა და შევთავაზე, თავად აერჩიათ სასურველი. მათ ურთიერთკონსულტაციების შემდეგ არჩევანი შეაჩერეს თემაზე პირობითი სახელწოდებით **„ჩემი სოფელი რიცხვებში“** რის ფარგლებშიც მოხდებოდა სოფელ **ჩანჩხალოს** დემოგრაფიული მონაცემების მოპოვება-ამუშავება, ანალიზი და წარმოდგენა **სვეტოვანი-წრიული**, **ხაზოვანი დიაგრამების** სახით.

კლასში 6 მოსწავლეა. ისინი გავანაწილე ორ ჯგუფში. ერთ ჯგუფს დაევალა მოეპოვებინა ინფორმაცია სკოლის დირექციისა და სოფლის ამბულატორიიდან ყოველწლიურად დაბადებული ბავშვების და სხვადასხვა პერიოდში სკოლის მოსწავლეთა რაოდენობების შესახებ. მეორე ჯგუფს კი – საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და სოფლის რწმუნებულისაგან გამოეთხოვათ საჯარო ინფორმაცია ჩანჩხალოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ.

ბოლო წლებში სოფელში მიმდინარეობს აქტიური მიგრაციული პროცესი, რაც ოფიციალურ სტატისტიკაში ნაკლებადაა ასახული. ამიტომ, რეალური სურათის მისაღებად ორივე ჯგუფს დაევალა გამოეკითხათ სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით უხუცესები.

იმთავითვე შევთანხმდით შემდეგ კრიტერიუმებზე: **1) ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება; 2) ინფორმაციის წყაროების სანდოობა; 3) ინფორმაციის შესაბამისობა საკითხთან; 4) მოძიებული ინფორმაციის კლასში წერილობითი სახით წარმოდგენა**. პროექტის განხორციელებისათვის განისაზღვრა, 10 დღე. ორივე ჯგუფის ცალკეულმა წევრებმა გაინაწილეს რა შიდა ფუნქციები, ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას.

რამდენიმე დღეში, შესასწავლი საკითხის შესახებ, ხელთ გვქონდა საკმაოდ მოცულობითი ინფორმაცია. დაიწყო შემდგომი ეტაპი – მოძიებული ინფორ-



მაციის დამუშავება, კლასიფიკაცია, ანალიზი. დიაგრამების ხელით აგების შემდეგ მოსწავლეებმა შესაბამისი გრაფიკები, ისტის მასწავლებლის დახმარებით, კომპიუტერში, ციფრულ ფორმატშიც შექმნეს. ძირითადად სამუშაო სრულდებოდა გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილზე მხოლოდ ვაფასებდით გაწეულ სამუშაოს და ვგეგმავდით შემდგომ ნაბიჯებს.

დადგა პრეზენტაციის დღეც. დიაგრამები სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილზე გამოვფი-





ნეთ.

მოსწავლეებმა მთელ სკოლას გააცნეს პროექტის მიზანი, წარუდგინეს მათ მიერ აგებული დიაგრამები, დაურთეს მკაფიო კომენტარები და გააკეთეს შეფასებები.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევამ სავალალო შედეგები აჩვენა. ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩანჩხალოში ოჯახების რაოდენობა 2, 72-ჯერ, მოსახლეობის რაოდენობა 2, 82-ჯერ, ხოლო შობადობა თითქმის 5-ჯერ შემცირდა. ოპტიმიზმის საფუძველს არც სხვა სტატისტიკური მაჩვენებლები იძლევა.

პროექტის მიზანი იყო: მოსწავლეებს დაენახათ **მათემატიკის მნიშვნელობა ცხოვრებაში**, დარწმუნებულიყვნენ მის საჭიროებაში, განესაზღვრათ მისი გამოყენების კონკრეტული სფერო და სტატისტიკის თეორიის გამოყენებით შეესწავლათ და შეეფასებინათ მშობლიური სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობა. მიზანი წარმატებით შესრულდა.

მათემატიკური ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების თვალსაჩინო მაგალითებია აღწერილი ბევრ ლიტერატურულ ნაწარმოებში. კლასიკური შემთხვევაა აღწერილი **ჟიულ ვერნის** რომანში **„საიდუმლო კუნძული“**, როცა ინჟინერი **სმიტი** მიუდგომელი კლდის სიმაღლეს მსგავსი სამკუთხედების თვისებების გამოყენებით საზღვრავს. მოსწავლეებს ჯერ წავაკითხე ეს რომანი და შემდეგ სმიტის მეთოდით წარმატებით განვსაზღვრეთ სკოლის შენობის სიმაღლე. გ ამოთვლების სიზუსტე სკოლის ტექნიკური დოკუმენტაციით დადასტურდა კიდეც.

ზემოთ აღწერილი თუ სხვა აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების დროს კონკრეტულ სასწავლო მიზნებთან ერთად ყოველთვის ვცდილობ გავითვალისწინო მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების ფორმირებისა და განვითარების შესაძლებლობა. ვფიქრობ, აღწერილი აქტივობები მეტნაკლებად შეიცავენ შესაძლებლობას ისეთი გამჭოლი უნარების განვითარებისას როგორიცაა **წიგნიერება**, **ციფრული** და **რაოდენობრივი წიგნიერება**, **სემიოტიკური**, **სოციალური** და **სამოქალაქო კომპეტენციები.**

დეკლარაციული ცოდნა, როცა მოსწავლემ იცის ფორმულები, აყალიბებს თეორემებს, განსაზღვრებებს, ფლობს და მართებულად იყენებს მათემატიკურ ტერმინოლოგიას, საჭირო და აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი სასკოლო მათემატიკის სრულყოფილად დაუფლებისათვის. თანამედროვე მოსწავლე უნდა ხედავდეს და გრძნობდეს მათემატიკის საჭიროებას. ის უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ამ საგნის ცოდნა მას დაეხმარება არა მხოლოდ საატესტატო თუ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში, არამედ, უამრავი საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაჭრასა და წარმატებების მიღწევაში.

**მაშ, ვასწავლოთ მათემატიკა და შევცვალოთ სამყარო უკეთესობისკენ!**

**ლევან ქათამაძე**
**შუახევის რაიონის**
**ჩანჩხალოს საჯარო სკოლის**
**კონსულტანტ-მასწავლებელი**

რედაქტორის მინაწერი: *დიდი ბედნიერებაა, რომ სოფელში მოღვაწეობს, ნოვატორი, ახალგაზრდა პედაგოგი, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მივხვდი, თუ რატომ წერს მათემატიკის სპეციალისტი ლევან ქათამაძე ისეთ მშვენიერ ლექსებს, რომლებიც შარშან ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნეთ. ვურჩევ მათემატიკის ყველა მასწავლებელს, გულდასმით გაეცნონ პრაქტიკოსი პედაგოგის მოწინავე გამოცდილებას და გამოიყენონ პრაქტიკულ საქმიანობაში.*

ლიტერატურული კუთხე — ბავშვებს!



# ნუცავი, იმ დროს!

**გასული** საუკუნის 80-იან წლებში ქართული საბავშვო მწერლობა ყვაოდა. მარტო ის რად ღირს, რომ თბილისში, საბურთალოზე არსებობდა საბავშვო მწერლების დიდებული სასახლე, სადაც შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა. სასახლეს შემოკრებილი ჰყავდა ძველი და ახალი თაობის მწერლები. გამოსცემდნენ ბრწყინვალე ჟურნალ **„საყმაწვილო ლიტერატურის მოამბეს“**, აკვალიანებდნენ დამწყებ მწერლებს, მათთვის გამოდიოდა ლამაზი ჟურნალი **„ლილე“**.

ამ საინტერესო ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი იყვნენ საბავშვო მწერლობის ამაგდარნი: **ელიზბარ უბილავა** და **ჯენეტო ჭანტურაია**. ამ სალონიდან ბევრი გამოჩენილი მწერალი გამოვიდა. მათ ლექსებს იზეპირებდნენ ცეროდენები, მღეროდნენ, სასკოლო სახელმძღვანელოებში იყო შესული.

დღეს რა ვთქვათ? რა და: „ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად, წარილტვნენ, გაქრნენ სიზმრებრივ ჩქარად!..“

იმ პლეადის ერთ-ერთი კოლორიტული, პოპულარული წარმომადგენელი გახლავთ საბავშვო პოეტი **ნაირა ნიჟარაძე**. გთავაზობთ მის რამდენიმე ახალ, ცინცხალ ლექსს ციკლიდან **„ლუკას სიმღერები“**.

### გაზაფხული

**გაზაფხული** მობრძანდა,
მიმოფანტა ცვარ-ნამი,
– იებო და ვარდებო,
ჩემი დიდი სალამი!

### ციცინათელები

– **ვინ** დაფრინავს ღამით?
– ციცინათელები,
როგორც ვარსკვლავებმა
გაანათეს მთები.

### წიგნში წერია

**სად** არის ფისო,
ნუცა და ცუცა?
დამჯდარა ლუკა
და წიგნებს ფურცლავს.
შიგ რა წერია?
შრომა და ძმობა,
სულ სიყვარული
და მეგობრობა.

### ეკლესიაში

**ავანთეთ** დიდი სანთლები,
ისმოდა ლოცვა-გალობა,
ბებომ პირჯვარი დამწერა,
ღმერთო, მოგვეცი წყალობა.

### სოფელში

**მიყვარს**, მიყვარს ეს სოფელი,
აქ რა ბევრი ხილია,
ნიორი და ხახვიც მოჩანს,
ჩვენი დათესილია.

### საქართველოს

ქვანიც ბერდებიანო,
დღენიც ილევიანო,
საქართველოვ, იცოცხლე,
მთიან-ტყიან, მზიანო!

### იებს

**იებო**, ლურჯთვალიანო,
მგონი, არ უნდა გეწყინოს,
დაგკრიფავ, შევკრავ თაიგულს,
მინდა მივართვა დედიკოს.

### სიმღერა

**ჰაერი** სუფთა, უმტვერო,
ცა ლურჯი, ღრმა და უმტერო,
მიყვარს და მინდა სამშობლოს
იადონივით ვუმღერო.

# ვაჟას რჩევის მიმდევარი



**გენიოსი** ვაჟა წერდა: „ბავშვებისთვის ისე უნდა ვწეროთ, როგორც დიდებისთვის, ოღონდ – უფრო უკეთესად“. ამ რჩევის ერთგული მიმდევარია პოეტი **მანანა ზაზიკაშვილი**. იგი მკითხველს, განსაკუთრებით ბავშვებს, ესაუბრება ლაღად, მსუბუქად, მათთვის გასაგები ენით. ამის დასტურია, შარშანწინ გამოცემული მისი ლექსების პატარა წიგნი **„როცა ტოროლა გალობს“**. თანაბარი დონით წერს საბავშვო და სადიდო ნაწარმოებებს. შემდეგში საბავშვოს მოგიტანთ, ახლა კი გემო ამ სადიდო ლექსებს გაუსინჯეთო, – გვთხოვა მანანამ. მკითხველო, მოდით ჩვენც ასე მოვიქცეთ!

### მიყვარხარ, ჩემო ქვეყანა!

ყველგან ლამაზი მხარე გვაქვს:
აჭარა თუ ლაზეთი,
მიყვარხარ, ჩემო ქვეყანა,
როგორიცა ხარ, ასეთი,
ორბების საბუდრებით და
დაუზოგავად ნასეტყვი.
ჩემს შვილთაშვილებს მერმისში
ნეტავი, ჩემზე რას ეტყვი?

### დედულეთის სიყვარული

დიდი ფლევის ქოჩორა ტყე,
ნაცარგორა, ვაყა,
დედულეთის სიყვარული
სიბერემდე გამყვა.

### ველარ მოვცილდი ქოხმახებს

ველარ მოვცილდი ქოხმახებს,
სულ ბინის ჯახირს ვუნდები,
სასახლეს მაშინ მომცემენ,
როდესაც გადავბრუნდები.

### ფარნავაზის ნასახლარზე

ფარნავაზის ნასახლარზე,
მწერალთ გარემოცვაში,
ისტორიის ფურცელს ვკინძავ,
მზე დამნათის ლოცვაში.
გაღმა ჯვარი, მოგუგუნე,
სვეტიცხოველს უყურებს,
ქართლოსი და ფარნავაზი
მინათებენ უკუნეთს.
ისტორიის კუთვნილება,
წმინდა მიწა მეფეთა,
ქართლის მთაზე ბაგინეთში
ცისკრად შემომეფეთა.
მწვადების სუნს ისრუტავდა
რთვილი, თოვლისმაგვარი,
ღვინოც იყო, პურმარილიც,
მთლად მეფური, მაგარი...
მწვადებს, ბადაგს გთავაზობდა
ჩვენი ქართა ხუნანი
(თამაზ ხუნაშვილი)
საქართველო სულ იქნება
მარად გაუხუნარი.

მცირე რეპლიკა

# „რაიონი“ – თუ „მუნიციპალიტეტი?“

**მარნეულისკენ** მიმავალ გზაზე კუმისის ტბასთან აღმართს რომ მოილევთ, სოფელ კოდის დასაწყისში, ტრიალ მინდორზე ბანერს დიდი ასოებით აწერია **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. სულ ორიოდე წელია ასე იკითხება, მანამდე ყოველთვის **„რაიონი“** ეწერა. ისე გავგიჟდ-გადავირიეთ უცხოურ ტერმინებზე, საშველი არ არის. რა ენა და მამულზე ველაპარაკოთ იმ ქართველს, რომელიც მამა-პაპურ წვრთნა-ვარჯიშზე „ტრენინგს“ და წარდგენაზე „პრეზენტაციას“ წარამარა გაიძახის, ოღონდ უცხოელებს ასიამოვნოს. ალბათ, იმის შიშითაც, ვაითუ, ნატოში არ მიგვიღონო. იმ კაცსაც, ვინც **„მუნიციპალიტეტი“** დააკანონა, ეგონა, სიახლეს მივაგენიო და სიხარულით თავბრუდახვეულმა პითაგორასავით წამოიძახა „ევრიკა!“ არადა, ცალი თვალით მაინც ლექსიკონში რომ ჩაეხედა, დაინახავდა: **„რაიონიც“** უცხოური ტერმინია.

რადგან იმ კაცს დაეზარა ცალი თვალითაც კი ლექსიკონში ჩახედვა, მკითხველო, მოდი, ჩვენ მაინც ჩავიხედოთ. ჩავიხედეთ და აი, რა წავიკითხეთ: **„რაიონი“** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, ტერიტორიას, რომელიც თეთრიწყაროს გამგებლობაში შედის. **„მუნიციპალიტეტი“** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას. სად ერეკლე და სად თეკლეო. ეს ტერმინი უნდა ეწეროს მხოლოდ იმ შენობას, რომელშიც რაიონის გამგეობა-თვითმმართველობა არის განთავსებული და არა ტრიალ მინდორზე აღმართულ ბოძს.

ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდით, მას დავუძახოთ **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, სტუდენტთა თვითმმართველობას – **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**, როგორი იქნება, ჰა!

**მოსე მწერალი**

უმწვავესი პრობლემა არა მხოლოდ მოსწავლეთათვის

# წერა-კითხვა ხომ არ გავიწყდებათ?!

**ინდაურივით** თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კი არა, ჭარმაგებიც გადარია ცივილიზაციის ამ მიღწევამ, ჩვენს ჯანმრთელობას დაემუქრა, თავის შეუწუხებლად ფონს გასვლის სენი შეგვყარა, ნარკოტიკივით შეგვიჩვია, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გაგვაგდებინოს. პედაგოგები, ფსიქოლოგები და ექიმები, რახანია ამტკიცებენ: რამე თუ არ ვიღონეთ, შეიძლება რობოტებად გვაქციოს ჩვენგანვე შექმნილმა რობოტმა.

დღეს იდიოტი უნდა იყო კაცი, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობა არ გესმოდეს. მოდით, განათლების, სწავლების კუთხით ვიმსჯელოთ და გავიაზროთ ამ უდიდესი მონაპოვრის შუქ-ჩრდილები. დავსვათ კითხვა ასე: ამაღლდა თუ არა სწავლების, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი მას შემდეგ, რაც სასკოლო სწავლების სისტემაში ასე უმძლავრესად შემოიჭრა კომპიუტერი? პედაგოგებისა და ფსიქოლოგების პროგნოზ-დიაგნოზი არც ისე მომხიბლავია. განწყობის თეორიის მიხედვით, სწავლების პროცესში კომპიუტერის გამოყენებისას იკარგება წიგნის კითხვის, წერის, „თავის შეწუხების“, ლოგიკური მსჯელობის, აზროვნების ინტერესი, ანუ მიგნების, აღმოჩენის, მოტივაცია, რადგანაც ყველა დავალებაზე, კითხვაზე იოლად შეგიძლია მოძებნო მზამზარეული პასუხები. ამდენად, ბავშვი, მოზარდი, ხშირად სტუდენტიც სახელმძღვანელოს ხელს არ კიდებს, ხოლო კომპიუტერს სწავლაზე უფრო გასართობად იყენებს.

რამდენ პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ და თავისი მუზის ნაყოფს პირდაპირ კომპიუტერით აწყობს. გაგიგონიათ: **„ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“**. ე. ი. იოლად შესწავლილი იოლად გავიწყდება. ფსიქოლოგების ოქროს შეგონებაა: **„რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“**.

ახლა მოსე მწერლის შეგონებაც მოისმინეთ: თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ, ან რამეს იშვიათად დაწერ, შეუმჩნევლად წერა-კითხვას გადაეჩვევი.

ყველაზე „მავნე“ კომპიუტერი სწავლების დაწყებით საფეხურზეა. I, II, III კლასის მოსწავლის მოუმწიფებელი გონება და ნერვული სისტემა ზღვა ინფორმაციას ვერ გადაამუშავებს, მას თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს და ამისი შედეგია ხშირად, რომ იმ საგნის იძულებით შესწავლაზე გულს იცრუებს. კიდევ უარესი: იმატა სათვალიანი ცეროდენების რიცხვმა. მაშ, რა ვქნათო? რა და მოსე მწერალი ერთ რჩევას გთავაზობთ: მეოთხე კლასამდე კომპიუტერს ნუ ჩავაყენებთ სწავლების სამსახურში. ბოლოსდაბოლოს, იგი ხომ უმაღლესი ხარისხის სწავლების დამხმარე ტექნიკური საშუალებაა, მეტი არაფერი. კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერა-კითხვას, მასწავლებელს. რატომ არ იწვის წყალიო და თავად არისო წვის პროდუქტი. ასეა ამჯერადაც, კომპიუტერი თავად გახლავთ წერა-კითხვის, წიგნის, ადამიანის გონების პროდუქტი.

თუ მაგარი ბიჭია, მაშინ თვითონ ჩამოვიდეს „მისი აღმატებულება“ კათედრასთან და ერთი მეთოდურად გამართული გაკვეთილი ჩაგვიტაროს!

**მოსე მწერალი**



116-ე ბაგა-ბაღები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან

# რატომ გამოვედი დირექტორის კაბინეტიდან დიდებულ გუნებაზე

**თბილისის**116-ე ბაგა-ბაღის ეზოში შესულს ბავშვების ჟრიამული შემომესმა – აღმზრდელთა მეთვალყურეობით, ყმაწვილები სპეციალურად შემოღობილ მოედანზე დახტოდნენ, იყო ჟრიამული და გადაძახილი. დავუკვირდი. აშკარად რაღაცაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. უმცროსჯგუფელები საგანგებოდ მოვლილ ეზოს მოსდებოდნენ და მშვენივრად „ილხენდნენ“. კორპუსის მეორე სართულიდან ფორტეპიანოს სახალისო ჰანგები და ყმაწვილების სიმღერა ისმოდა.

აბა, როგორ გინდა მათ შემყურეს გუნება არ გაგიხალისდეს?



სწორედ ასეთი განწყობით შევედი ბაღის დირექტორის ქალბატონ **დარეჯან ავალიანის** კაბინეტში, მაგრამ ყველაზე კარგი მაინც ის იყო, რომ იქიდან უკეთეს განწყობაზე გამოვედი.

რატომ?

**„სასკოლო მზაობის“** პროგრამით – ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ შედგენილ ამ პროგრამას ერთობ იწონებენ – ბავშვები თამაშ-თამაშ, ხალისიანად მიჰყავთ დასახულ მიზნამდე. ახალი ლიტერატურა, სამუშაო მასალა დამუშავებული და გამოსაყენებლად გამზადებულია. ამას ძალზე შეუწყო ხელი მეთოდისტის – **ეკა აბზიანიძის** ტრეინინგებმა. ჯგუფები დაყოფილია ცენტრებად: უფროსებისთვის – **მეცნიერების**, **წიგნიერების**, **კონსტრუირების**, **ხელოვნების**, **სამაგიდო**; **დილისა** და **საღამოს** წრეები. აღსაზრდელს პედაგოგი მხოლოდ მიმართულებას აძლევს, ურჩევს, საბოლოო არჩევანი ბავშვზეა. მას შეუძლია ერთხანს რომელიმე ცენტრში იმუშაოს და, სურვილისამებრ, სხვაში გადავიდეს.

ცენტრებში პატარებს მომავალი სპეციალობების არჩევაშიც ეხმარებიან. უმეტესობას მასწავლებლობა და ექიმობა სურს. დრამატულ წრეში ნორჩი მსახიობები გრძნობების მხატვრულად გამოხატვას, გარდასახვას ეუფლებიან.

აღმზრდელი და მისი თანაშემწე წინასწარ ქმნიან გარემოს თემის მიხედვით. მაგალითად, აწყობენ **„ექიმის კაბინეტს“**.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყმაწვილებში ბუნების, გარემოს სიყვარულის ჩანერგვას. ბაგა-ბაღში სამართლიანად მიიჩნევენ – ასე აღზრდილი ყმაწვილი, თავის შვილებსაც იგივე სულისკვეთებით აღზრდის, ის – თავისას და ა. შ.

ბავშვებმა საგანგებო ვითარებაშიც უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ. მათ ამასაც ასწავლიან, რაც პატარებს ალღოიანობას, სწრაფად აზროვნებას უვითარებს.

სპორტულ მოედანზე იმართება **„მხიარული სტარტები“**. ყოველდღიურად – სპორტული აქტივობები.

სასექტემბროდ დიდ ღონისძიებებს რაიონის დეპუტატი და მერიის წარმომადგენლები ესწრებიან; დედის დღეზე პატარები მისალოც ბარათებს ამზადებენ; შემოდგომის ზეიმზე ყველასათვის თუხთუხებს თათარა, ეზო სოფლის ხვავითა და ბარაქით ივსება. ყმაწვილების შეგნებაში ნელ-ნელა შედის გლეხის მძიმე შრომის მნიშვნელობა საოცრად ტევადი სიტყვა – ჭირნახული რომ უწოდა ქართველმა;საახალწლო დღესასწაულს ბავშვებს თოვლის პაპა ულოცავს, ბაგა-ბაღების სააგენტო კი – საჩუქრებს უგზავნის.

ღია აქტივობები. ეს უწინდელი ღია კარის დღეა. მშობლები დილიდანვე ებმებიან ბაღის ცხოვრებაში დილის გამამხნევებელი ვარჯიშით რომ იწყება და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დასასრულამდე რჩებიან. ბოლოს – დღის შეჯამება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, სურვილები, მადლობები, შენიშვნები...

„უცნაური“ მინიექსკურსიებიც იმართება. ბავშვები დაჰყავთ მაღაზიებში, აფთიაქებში, კაფეებში... აცნობენ უბანს და იმასაც, თუ სად, რა ხდება. ეს ხომ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უვითარებს, მიკროგარემოს აახლოებს პატარებს.

და ამ მრავალმხრივ საქმიანობას, დირექტორის, მისი მოადგილის – ჩინებული სპეციალისტისა და ორგანიზატორის **ია ზურაბაულის**, მეთოდისტის ხელმძღვანელობით, უშუალოდ ახორციელებენ აღმზრდელები: **ეთერ მაისურაძე**, **ხატია გოგოლაძე**, **ანგელინა მღვდელაძე**, **თამარ სეფიაშვილი**, **მანანა ბალხამიშვილი**, **ნინო დარსალია**, **ინგა ლომიძე**, **თამარ მაღლაფერიძე**, **ლია ცხვედაძე**, **მაია გოგიშვილი**; მათი თანაშემწეები: **მანანა შიშნიაშვილი**, **ხათუნა ბარძიმაძე**, **ოლღა ტოგონიძე**, **ნანა ღვინიაშვილი**, **ნონა კუჭაშვილი**, **ნინო შავერდაშვილი**, **მაია იაკობიძე**, **ნათია მინაძე**, **მაია ბასილაშვილი**,





მულტიდისციპლინარულ ჯგუფში სპეციალური პედაგოგი **მარიამ წიკლაური**, ლოგოპედი **თამარ ბერუკაშვილი**, ფსიქოლოგი **თინათინ ბეჟანიშვილი**, მეთოდისტის, დირექტორის ხელმძღვანელობითა და აღმზრდელებთან, მშობლებთან თანამშრომლობით საცდელს არ აკლებენ, რათა სპეციალური განათლების საჭიროების ბავშვებმა მაქსიმალურად შეძლონ გარემოში ადაპტირება.

მუსიკისა, ცეკვა-სიმღერა, მუსიკის და ცეკვის პედაგოგების **ლალი ბოხუასა** და **ნინო ღვინიაშვილის** „სტიქიაა“ და ისინიც გატაცებით აზიარებენ ყმაწვილებს მუსიკისა და ცეკვის საწყისებს.

ბაგა-ბაღის გამართული ინფრასტრუქტურა, მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩინებული კვება ბაგა-ბაღების სააგენტოს (დირექტორი – **თემურ თორდინავა**) დამსახურებაა.

ყმაწვილებს გემრიელ, ყუათიან კერძებს უმზადებენ მზარეული **კალინკა პაქსაშვილი** და მისი თანაშემწეები: **ნათელა აფციაური** და **თამარ კვერენჩხილაძე**. გამეფებული სისუფთავე, ჰიგიენური გარემო დამლაგებლების: **დანუტა ლომიძის**, **დალი ტალახაძის**, **ლალი კერესელიძის**, **თამარ ქარუმიძის**; მრეცხავების: **ნინო ხარტონიშვილისა** და **ნინო ასრათაშვილის**; მეეზოვის – **მანანა დათუნაშვილის** ყოველდღიური დაუღალავი შრომის შედეგია. კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას საქმისმწარმოებელი – **თამილა დათუკიშვილი**, ექთანი – **თამუნა კახაბრიშვილი**, დარაჯები: **დავით წამალაშვილი** და **ელგუჯა ფანჩვიძე**; მუშა – **ვასილ ფუხაშვილი**.

ბაგა-ბაღის ასეთი მრავალმხრივი, მიზანმიმართული და შედეგიანი მუშაობის ინიციატორი და წარმმართველი დირექტორი – ქალბატონი **დარეჯან ავალიანი** გახლავთ. იგი ამ აღმზრდელობით დაწესებულებაში დაარსებიდან მუშაობს. ჯერ – მეთოდისტად, ბოლო 10 წელიწადი კი დირექტორია. მან ჯერ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ – ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტი და განაწილებით მივიდა 116-ე ბაგა-ბაღში.



გვჯერა, მისი ხელმძღვანელობითა და კოლექტივის მონდომებით, 116-ე ბაგა-ბაღი ყმაწვილების აღზრდას კვლავ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართავს.

აი, რატომ გამოვედი დირექტორის კაბინეტიდან დიდებულ განწყობაზე.

**კონსტანტინე სარალიძე**

65-ე ბაგა-ბაღი — ყოველდღიური წინსვლის გზაზე

# გამცოდილებას პლუს ენთუზიაზმი უდრის წარმატებას



**მართალი** უთქვამთ, თვალი ჭამს და თვალი სვამსო: თბილისის 65-ე ბაგა-ბაღის ხასხასა მწვანედ შეღებილი შენობის, ლითონის გალავნის, იქვე ტროტუარზე საოცარი გემოვნებით გაფორმებული მოვლილი სკვერის, ფილებით მოპირკეთებული, დაწკრიალებული ეზოს დანახვაზე უკვე გჯერა – ასეთ დაკრიალებულ-მოვლილ გარემოში (ინტერიერზე აღარაფერს ვამბობ) საქმე – პატარების სწავლა-აღზრდა სწორედაც რომ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარიმართება.



ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ბაგა-ბაღის სპეციფიკის გათვალისწინებით შესრულებული ყველა სამუშაო, ბაგა-ბაღების სააგენტოს (დირექტორი – **თემურ თორდინავა**) დამსახურებაა. ეზოში ასფალტი სამგორის რაიონის გამგეობამ დააგო.

ასე „გაკოპწიავებულ“ ბაგა-ბაღს სულაც აღარ ეტყობა, რომ ორიოდ წელიწადში დაარსებიდან 50 წლისთავი უწევს. მჯერა, ასეთი მზრუნველობით – „გარედან“ და „შიგნიდან“ – ბაგა-ბაღს აგრერიგად 100 წელი დაეტყობა. ამაში თავისი წვლილი მიუძღვით მეეზოვეს **ლევან ზურაბაშვილს**, დამლაგებლებს – **სონა სუხიაშვილსა** და **მანანა ბენდიანიშვილს**.

დირექტორმა – ქალბატონმა **ელენე-მაია პეტრიაშვილმა-გონგაძისამ** 1986 წელს დაამთავრა მაშინდელი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. სწავლის პერიოდში მუშაობდა თბილისის პირველ ბაგა-ბაღში აღმზრდელად; შემდეგ 126-ე ბაგა-ბაღში, 86-ეში – მეთოდისტად, დაბოლოს, 1991 წლიდან 65-ე ბაგა-ბაღის დირექტორია. განათლების სისტემაში უკვე 40 წელიწადია მოღვაწეობს და ეს ზღვა გამოცდილებაა ის მტკიცე ქვაკუთხედი, რაზეც იგება 65-ე ბაგა-ბაღის შემოქმედი, მიზანმიმართული კოლექტივის ძალისხმევა – ქვეყანას ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობა აღუზარდონ.



ცხადია, ამას მშობლებთან, ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით აღწევენ, რადგან ოჯახიდან გამოყოლილი ხარვეზები აღზრდაში ბაგა-ბაღში უნდა გამოსწორდეს. თუ ბაღმა ეს ვერ შეძლო, ზადი, ნაკლი სკოლაში მიჰყვება ბავშვს; თუ სკოლამაც ვერაფერი მოახერხა, იგი უკვე ერის, ქვეყნის სატკივარი ხდება.

ეს სრულად აქვთ გათავისებული 65-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებს და მათი მაქსიმალური მონდომება სწორედ აქეთ არის მიმართული.

აღმზრდელები: **ლამარა ლომთათიძე**, **ირმა აბზიანიძე**, **თამრიკო მღებრიშვილი**, **მარინე მიქაძე**, **ელენე ბუთიაშვილი**, **ნინო ხაბეიშვილი**, **მარინე პეტრიაშვილი**, **ქეთი ხოკერაშვილი**, **ნესტან მუქერია**, **მედეა მერაბიშვილი**, **ნინო პეტრიაშვილი**; მათი თანაშემწეები: **ხათუნა ყაზიშვილი**, **თეა აბულაძე**, **ლეილა კობახიძე**, **ლალი მკერვალიშვილი**, **ელენე მიქავა** და **ნინო ვეკუა** სწორედ ის ძალაა, ვინც დირექტორის, მისი მოადგილის – **თეონა ხვედელიანის**, საგანმანათლებლო ნაწილის კოორდინატორის – **ლია ბულაშვილის** ხელმძღვანელობით, კომპლექსურად, პრაქტიკულად ახორციელებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს.



ბაღი ფეხდაფეხ მიჰყვება სისტემაში დანერგილ ყველა სიახლეს, რასაც ძალზე უწყობს ხელს აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები.

ბაღს სპეციალური განათლების საჭიროების აღსაზრდელები არა ჰყავს, ამიტომ არც მათთან მუშაობისთვის განკუთვნილი მულტიდისციპლინარული ჯგუფია ჩამოყალიბებული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგ **ცირა კახნიაშვილსა** და ლოგოპედ **ლელა ნარუსლიშვილს** საქმე აკლიათ. 255 აღსაზრდელს ძალზე სჭირდება მათი სითბო და პროფესიონალიზმი.

ბავშვების ჯანმრთელობის, მათი ჰიგიენურ გარემოში აღზრდის სადარაჯოზე კი კოორდინატორი **თამარ ენუქიძე** დგას. ქალბატონ თამარს შარშან, 5 დეკემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ იგი ჩვეული ენერგიით განაგრძობს მუშაობას. ამაგდარ ქალბატონს დაბადების დღე მიულოცეს ქალაქის მერმა **დავით ნარმანიამ**, რაიონის ხელმძღვანელობამ.



სრულდება „**სასკოლო მზაობის**“ პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. იგეგმება და ხორციელდება მრავალი სახალისო და გონების განმავითარებელი ღონისძიება.



ბავშვების ესთეტიკურ აღზრდაზე, მათში მუსიკალურობის განვითარებაზე ზრუნავს მუსიკისა და ცეკვის პედაგოგი **ნინო კერვალიშვილი**; ყველაფერი მოწესრიგებული აქვთ თავისი საქმის ჩინებულ მცოდნეებს – საქმისმწარმოებლებს: **ლიანა ლაჭავასა** და **ნანა დიასამიძეს**; ჰიგიენური გარემო მრეცხავების: **ლამზირა ჩაფიძის**, **ხათუნა ასაბაშვილისა** და **თამარ აბულაძის** დამსახურებაცაა; ხარისხიანი პროდუქტები გემრიელ, ბავშვებისათვის სასარგებლო კერძებად რომ „იქცეს“, მზარეული **ნაირა ხაჭაპურიძე** და მისი თანაშემწე **ლელა ბეგოიძე** მთელ თავის კულინარულ ოსტატობას აქსოვენ.

უსაფრთხო გარემოს ქმნიან დარაჯები: **გივი პეტრიაშვილი** და **ვალერი ნადირაძე**; მუშა **გელა გაგოშიძე** ყოველთვის იქაა, სადაც მისი გამრჯე და მცოდნე ხელია საჭირო.

ყოველივე ზემოთქმული იმის უცილობელი დასტურია, რომ 65-ე ბაგა-ბაღის შემოქმედი, მონდომებული კოლექტივი კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს ბავშვების სწორად აღზრდის რთულსა და საპასუხისმგებლო გზაზე.

**კოტე ბაკურაძე**



## ქართველები პირველობას არავის უთმობენ

# სპორტული ცხოვრება ფიზიკურთან ერთად სულის სიჯანსაღეა



**ძალისმიერი** სახეობები ძლიერი ხასიათის მქონე ადამიანების სპორტია, სადაც სპორტსმენმა შტანგის ასაწევად მაქსიმალური ძალა და ტექნიკა უნდა განავითაროს. სპორტის ეს სახეობები ჩვენს ქვეყანაში თანდათან უფრო პოპულარული ხდება.

2004 წელს, მას შემდეგ, რაც **გიორგი ასანიძემ** ოლიმპიადა მოიგო, სპორტის ამ სახეობის მიმართ ყურადღება და ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. სპორტსმენი **იკა ცანავა** ოლიმპიური ჩემპიონის გაცნობის შემდეგ, ამ ვარჯიშებით ისე დაინტერესდა, რომ მთელი ძალისხმევა ძალოსნობისკენ მიმართა და **გიორგი ასანიძე**, ფაქტობრივად, მისი მთავარი მწვრთნელი გახდა. თუმცა ბავშვობაში ძალოსნობაზე არ უოცნებია, ქართულ ცეკვასა და ფეხბურთზე დადიოდა, კონცერტებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობდა. მერე კი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია დაამთავრა. აქვს მსაჯობის გამოცდილებაც.




მძიმე შტანგის აწევა სპორტსმენისგან არამხოლოდ დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს, იგი უნდა ფლობდეს აწევის ტექნიკას, მოქნილობასა და სისწრაფეს. **იკა ცანავამ** ვარჯიში **ბეჟან ჭიჭინაძესთან** დაიწყო, რომელმაც გაზარდა და ნაკრების წევრობამდე მიიყვანა. 2007 წელს უკვე ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის წევრი და საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში – ვერცხლის პრიზიორი გახდა. ამავე წელს საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენადაც დაასახელეს.

2008 წელს კი კვლავ დიდებში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი და საუკეთესო პერსპექტიულ ახალგაზრდა სპორტსმენად დასახელდა. 2007-09 წლები საკმაოდ ნაყოფიერი იყო მისი სპორტული კარიერისთვის – სამივე წელს მოიპოვა **საქართველოს ჩემპიონობა** ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის, იყო სხვადასხვა ტურნირის **პრიზიორი**, მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონის **კახი კახიაშვილის** სახელობის, ასევე, **რაფაელ ჩიმიშკიანის** სახელობისა.



2007 წელს **იკა ცანავა** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა, რაც პირველი ცდისთვის საკმაოდ კარგ შედეგად ითვლება. 2009 წელს კი იგივე ჩემპიონატზე უკვე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ამავე წელს **დიდების** ეროვნულ ნაკრებში ჩაირიცხა.

2010 წლიდან ფეხის კუნთის გაწყვეტისა და ტრავმის გამო, ორწლიანი პაუზა ჰქონდა. სპორტში ფსიქოლოგიურ მდგრადობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იტყვიან, რკინის ნერვები უნდა გქონდეს, რადგან საუკეთესო ფორმაში მყოფი, შეიძლება მოულოდნელად, ტრავმის გამო, ასპარეზობას გამოეთიშო. მაგრამ Weighlifting არის სპორტის ის სახეობა, რომელიც ადამიანებს თავდაჯერებულობას მატებს, ვარჯიშის ჟინს ულვიძებს და **იკა ცანავაც** 2012 წელს გამართულ შეჯიბრებაზე, კვლავ პრიზიორია. 2012-14 წლები წარმატების წლებია – **საქართველოს ჩემპიონი** და **პრიზიორი**, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული და პრიზიორი. მონაწილეობდა აზერბაიჯანის ჩემპიონატზე – **„ზირვე“** და ა. შ.




მას შემდეგ, რაც ოლიმპიური მზადების ცენტრში გადავიდა, სადაც ვარჯიში ბავშვობის მეგობრებთან – 2016 წლის ოლიმპიურ ჩემპიონთან – **ლაშა ტალახაძესთან** და **ირაკლი თურმანიძესთან** ერთად უწევდა, რათქმაუნდა, ფიზიკური დატვირთვა და ძალისხმევაც გაიზარდა. 2016 წელს გუნდთან ერთად, აშშ-ში გაემგზავრა, სადაც მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ტრავმამ ისევ თავი შეახსენა და შეჯიბრებას გამოეთიშა.




ამჟამად, **იკა ცანავა** პენსილვანიის შტატში, **ფილადელფიაში** ცხოვრობს და **ნიუ-ჯერსის** ძალოსნობის კლუბში ვარჯიშობს, შეჯიბრებებზე გამოდის, ადგილობრივ ტურნირებში მონაწილეობს, სადაც უკვე 2-ჯერ გახდა **ვერცხლის პრიზიორი**.



აშშ-ში ქართველი ძალოსნები შტანგის შეგრძნებითა თუ მოძრაობით, მართლაც დიდი სიძლიერით გამოირჩევიან. ამერიკელ სპორტსმენებთან მეგობრობენ და ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებასა და რჩევებს უზიარებენ. როგორც იკა ამბობს: „სპორტსმენი, რაც უნდა დიდი და წარმატებული იყოს, მწვრთნელის გვერდში დგომა ყოველთვის სჭირდება. შტანგის აწევის პროცესი მცირეხნიანია, მაგრამ მანამდე იმდენი ნიუანსია გასათვალისწინებელი, პატარა ცვლილებაც და... შეიძლება შტანგა ველარ დაიმორჩილო“.



სპორტის ამ სახეობაში 2 მოძრაობაა – ატაცი და აკვრა. **იკა ცანავამ** 94 კგ. წონით კატეგორიაში ატაცში აწია 165 კგ. და აკვრაში 200 კგ. ქართველის რეკორდი ატაცში არის 188 კგ, რომელიც **კახი კახიაშვილმა** დაამყარა.

დავინტერესდი, თუ როგორ ერთობიან თავისუფალ დროს ჩვენი სპორტსმენები ამერიკაში: „სპორტული ცხოვრება კარგია, სულის სიჯანსაღეა. შენს ირგვლივ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები არიან და თითქმის ყველას, ერთი მიზანი ამოძრავებს – ოლიმპიური ჩემპიონობა. ამიტომ ბევრს ვვარჯიშობთ, თუმცა ერთმანეთთანაც ხშირად მივდივართ ხოლმე, კარგი მუსიკის მოსმენას, წიგნის კითხვასა და ფილმების ყურებასაც ვახერხებთ“.

ოცნების ქვეყანაში უკვე ბევრი ქართველია, რომლებიც სამშობლოდან ასე შორს, ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინს იზიარებენ. ამაში დიდი წვლილი **ეკლესიას** მიუძღვის, სადაც **მეუფე საბას** წინამძღოლობით, წირვა– ლოცვა რეგულარულად აღევლინება.

„ჩვენი სპორტი ისეთია, დიდ რეჟიმს მოითხოვს, ბევრი უნდა დათმო, სულ ფორმაში უნდა იყო. შტანგა რკინაა, რომელიც სულ ერთიდაიგივე წონაა. შენ უნდა ასწიო, შენ უნდა მოერიო და დაძლიო. წარმატება ყოველდღიური ბრძოლაა. წინ უნდა იარო, არასოდეს თქვა – დავიღალე, თორემ ვერ გაიმარჯვებ“ – ამბობს ქართველი სპორტსმენი.



მიღწეულს ვულოცავთ და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის საამაყო **იკა ცანავას!**

**ნათია გურგენიძე**



მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 8 (4547)
12 აპრილი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113